www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი, 2012 წელი. | №3132 (225) | ფასი 50 თეთრი

ქართველი ერის არჩევანი და კონსტიტუცია

სააკაშვილის და ივანიშვილის შეხვედრა

დათო გამისონია

საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მომავალი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის შეხვედრის ორგანიზებისთვის, მათი სამუშაო ჯგუფების ორი შეხვედრა საკმარისი გამოდგა.

გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სააკაშვილი და ივანიშვილი ერთმანეთს სამუშაო ჯგუფების თანხლებით მიესალმნენ და შენობაშიც ერთად შევიდნენ. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ივანიშვილისა და სააკაშვილის პირისპირ შეხვედრის პარალელურად, დავით ბაქრაძე, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა და პავლე კუბლაშვილი კოალიციის ოთხ წარმომადგენელთან - ირაკლი ალასანიასთან, დავით უსუფაშვილთან, ირაკლი ღარიბაშვილთან და სოზარ სუბართან საუბრობდნენ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები

ახალი საპარლამენტო უმრავლესობა სადეპუტატო უფლებამოსილების მინიჭებისთანავე მთელი რიგი საკანონმდებლო, მათ შორის საკონსტიტუციო ცვლილებების გატარებას აპირებს.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მომავალი თავმჯდომარე, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე ამ ეტაპზე კონკრეტულად ვერ ასახელებს, რამდენ კანონში, რა რაოდენობის ცვლილებები შევა, მაგრამ ზუსტად იცის, რომ დღეს მოქმედი თითქმის ყველა კანონი საჭიროებს შეცვლას.

პარლამენტში უფლებამოსილების დამტკიცების შემდეგ ახალი უმრავლესობა აპირებს, პირველ რიგში, პარლამენტის შენობის დედაქალაქში დაბრუნების ინიციატივა დააყენოს. ამ საკონსტიტუციო ცვლილებისთვის, მართალია, "ბიძინა ივანიშვილი - ქართულ ოცნებას" საკონსტიტუციო უმრავლესობა ანუ დეპუტატთა 2/3 მანდატი არ აქვს, მაგრამ, ამჟამინდელი უმცირესობის დიდი ნაწილის იმედს არ კარგავენ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

რომნი ობამას საგარეო პოლიტიკას აკრიტიკებს



სალომე ჯანიაშვილი

აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან მიტ რომნიმ თეთრ სახლს ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით კურსის შეცვლისკენ მოუწოდა და პრეზიდენტი ბარაკ ობამა ლიდერობისა და ინიციატივების არქონაში დაადანაშაულა.

ვირჯინიის შტატში, სამხედრო ინსტიტუტში სიტყვით გამოსვლისას, რომელიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკას ეძღვნებოდა, რომნიმ პრეზიდენტ ობამას მორალური პასუხისმგებლობა დააკისრა ლიბიაში ამერიკის ელჩის სიკვდილზე.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში ისევ არმიას და ავიაციას იყენებს

ივა შილაკაძე

რუსეთის არმია ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტულ ოპერაციებში უკვე 2006 წლიდან აღარ მონაწილეობდა. ეს საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპეცსამსახურების ძალებით ხორციელდებოდა, თუმცა ოქტომბრიდან არმია ისევ ჩაერთო საქმეში, თან წინასწარი განცხადებებისა და ზედმეტი ხმაურის გარეშე.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

1 აშშ დოლარი		1.6606⇓
1 ევრო		2.0826⇓
1 ინგლისური გირვანქა		2.6294⇓
1 თურქული ლირა		0.9089⇓
100 რუსული რუბლი		5.1422⇓
თბილისი		28°C - 19°C
ქუთაისი		27°C - 18°C
თელავი		28°C - 14°C
ზუგდიდი		27°C - 18°C
ბათუმი		24°C - 19°C
ნავთობი	3.17	+0.04 +1.25%
გაზი	2.79	+0.04 +1.40%
ოქრო	1,689.30	+32.20 +1.91%
ხორბალი	890.50	-12.50 -1.40%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

კაპიტანი

ზურაბ თალაკვაძე

ზვიად ბაბიაშვილი კალათბურთში ცნობილი პერსონაა. ბევრ გუნდში ბევრი სეზონი, ბევრი მოგება, ცოტა ვერმოგება და ჩვენ ამბებში, კარგი, საინტერესო სივი. შარშან ბაბიაშვილი "არმიაში" იღლებოდა, გუნდს საქართველოს ჩემპიონატის მოგებაში ეხმარებოდა. "არმია" შეიცვალა, წავიდნენ წამსვლელები, დარჩნენ კარგი მოთამაშეები და დარჩა ბაბიაშვილი. დარჩა, როგორც კაპიტანი და ამ გუნდში კაპიტანი უკვე ჟღერს. ახალი "არმია" სხვა გუნდია. სანდიეტა გეინსის, მისტერ ვუდსაიდის, კიდევ რამდენიმე კარგი ბიჭის გარეშეა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ეროვნულ ბიბლიოთეკაში მეხსიერების ინტერვრეტაცია მიმდინარეობს



თამაზ თამაზაშვილი დღეს საპატიმროს დატოვებს

შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატ ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი, პოლიციის გენერალი თამაზ თამაზაშვილი საპყრობილეს დღეს დატოვებს.

გუშინ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ პროკურორსა და მსჯავრდებულ თამაზ თამაზაშვილს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 აპრილის განაჩენით, თამაზ თამაზაშვილი მსჯავრდებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღის და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვასა და ტარებაში და მას 3 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. თამაზაშვილი სასჯელს იხდის 2011 წლის 11 ოქტომბრიდან.

განაჩენი უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. უზენაეს სასამართლოში საქმის საკასაციო წესით განხილვისას მხარეების მიერ შემოტანილ იქნა საპროცესო შეთანხმება სასჯელზე.

სასამართლომ მსჯავრდებულს დაწვრილებით განუმარტა მისი უფლებები, შესაბამისად, სასამართლო დარწმუნდა, რომ დაცული იყო საპროცესო შეთანხმების დადების ყველა წინაპირობა, ამასთან, მხარეებმა (მსჯავრდებულმა, მისმა ადვოკატმა და პროკურორმა) სასამართლო პროცესზე კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მათ შორის ნებაყოფლობით მოხდა შეთანხმება სასჯელზე.

უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა მხარეებს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება და მსჯავრდებულ თამაზ თამაზაშვილს სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, - ნათქვამია უზენაესი სასამართლოს ინფორმაციაში.

გუშინ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, თამაზ თამაზაშვილი საპატიმროს დღეს დატოვებს.

აღსანიშნავია, რომ თამაზ თამაზაშვილს პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება უპირობოდ გაუფორმა - მსჯავრდებულს ბიუჯეტისთვის არც ფული გადაუხდია, არც დანაშაული უღიარებია და არც სხვა დანაშაულის გახსნაში დახმარებია პროკურატურას. არადა, აქამდე საპროცესო გარიგების არსი სწორედ ეს გახლდათ - ბრალდებულს ან უნდა ეღიარებინა დანაშაული, ან სხვა, გაცილებით მსხვილი კრიმინალი ემხილა.

განცხადება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სან პეტროლიუმ ჯორჯია" აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის - **3320 კუბ. მ. ტევადობის (42000 ტ. წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის** საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე - **ქ. თბილისი, წყალსადენის ქუჩა 13** და გარემოს დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტში (გულუას ქ. №6).

საჯარო განხილვა მოეწყობა: **ქ. თბილისი, წყალსადენის ქუჩა 13**, 2012 წლის 3 დეკემბერს, 14.00 საათზე.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ **"სან პეტროლიუმ ჯორჯია"** ადმინისტრაციას.

შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია"

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 2012 წლის 20 სექტემბერს 59 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა იტალიაში, კალიბრიის უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში მიწევით მყოფი გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოს მ. ალექსიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, მრავალი ახალგაზრდა მეცნიერის აღმზრდელი, თვალსაჩინო ფიზიკოსი-თეორიტიკოსი, მეცნიერების ერთგული მსახური

გიორგი აბურჯანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

მომავალი მინისტრების დაპირებები

ნათია მსხილაძე

მოქმედი მინისტრებისა და მინისტრობის კანდიდატების კომუნიკაცია დაიწყო. "ქართული ოცნების" წარმომადგენლები ყველა სამინისტროში მივლენ და იქ არსებულ მდგომარეობას გაეცნობიან. ასეთ რეჟიმში ისინი 2 კვირის განმავლობაში იმუშავებენ. "ქართულმა ოცნებამ" თავისი წარმომადგენლების სია "ნაციონალური მოძრაობის" სამუშაო ჯგუფს უკვე გადასცა.

ახალი მთავრობის მოსვლით სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება ძალოვან უწყებებში. შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატ ირაკლი ღარიბაშვილის

განცხადებით, კუდ-ი და სოდ-ი, სავარაუდოდ, გაუქმდება. **"ჯერჯერობით, კონსულტაციები მიმდინარეობს და საბოლოო გადაწყვეტილება ცოტა ხანში გახდება ცნობილი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში რეორგანიზაციის პროცესი დაგეგმილია,"** - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

იუსტიციის მინისტრობის კანდიდატი თეა წულუკიანი სამინისტროში სამუშაო შეხვედრებს დღეიდან დაიწყებს. რაც შეეხება პრიორიტეტებს, წულუკიანის თქმით, შესრულდება "ქართული ოცნების" დანაპირები და უკანონო პატიმრებს, რომლებიც საპატიმროებში პოლიტიკური ნიშნით იმყოფებიან, ასევე იმ ადამიანებს, ვისაც დანაშაული არ დაუმტკიცდა და მაინც დაკავებულები არიან, ხვედრი შეუმსუბუქდებათ. **"სისხლის სამართლებრივი რეფორმაა განსახორციელებელი და სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი გადაიხედება. გადასახედია საპროცესო შეთანხმების მუხლი და აუცილებელია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რეფორმირება. იუსტიციის სამინისტრო ასევე დაიწყებს თაროზე შემოდებული საქმეების გადახედვას და შეუდგება სასამართლო სისტემის რეფორმას,"** -აღნიშნა თეა წულუკიანმა.

თავდაცვის სამინისტროში, ნდობით აღჭურვილ ხუთკაციან ჯგუფთან ერთად, ექსპერტის სტატუსით იმყოფებოდა ვახტანგ კაპანაძეც, რომლის კანდიდატურაც "ქართული ოცნების" მხრიდან გაერთიანებული შტაბის უფროსის თანამდებობაზე განხილება. **"შევხვდით თავდაცვის სამინისტროს ძირითადად ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, ხვალ ალბათ, გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობას შევხვდებით, მათთან გავიაუბრებთ. ამის შემდეგ ჩამოვყალიბდებით, რა პერიოდულობით მივალთ სამინისტროში,"** - განაცხადა კაპანაძემ.

რაც შეეხება კოალიცია "ქართული ოცნების" მხრიდან გაერთიანებული შტაბის უფროსის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის განხილვის საკითხს, კაპანაძის თქმით, ამის შესახებ ინფორმაცია მისთვის ცნობილი არ არის. ვახტანგ კაპანაძე აფხაზეთის ომის მონაწილეა, სხვადასხვა დროს ბრიგადის მეთაური და გენერალური შტაბის უფროსი იყო. ამჟამად საგარეო დაზვერვაში ერთერთ მაღალ თანამდებობაზე მუშაობს. ვახტანგ კაპანაძეს სამხედრო განათლება აშშ-ში აქვს მიღებული. ის ასევე არის საქართველოს სამხედრო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

"ქართულ ოცნებაში" უკვე დაიწყეს მუშაობა ამინისტიის კანონპროექტზე. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრობის კანდიდატის თქმით, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიაში საზოგადოების ჩართულობა უფრო გაიზრდება, გაძლიერდება და ბევრად უფრო ეფექტური გახდება. **"საქართველო პატიმრების რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ზოგადად, მახინჯი სისტემა უნდა შეიცვალოს და ამაში პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებამ და პირობითმა სასჯელებმა თავისი როლი უნდა შეასრულოს,"** - აღნიშნა სუბარმა.

გარდა ამისა, სასჯელაღსრულების მინისტრობის კანდიდატი სოზარ სუბარი პრიორიტეტად მიიჩნევს ხელისუფლებისადმი არა ლოიალური, არამედ მაქსიმალურად კრიტიკული ომბუდსმენის დანიშვას. **"პარლამენტი არ შეკრებილა და სახალხო დამცველის კანდიდატურაზე მსჯელობა ოფიციალურ დონეზე არ დაწყებულა. თამარ გურჩიანის კანდიდატურას სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ნაწილი ასახელებს, საუბარი იყო ასევე ლია მუხაშავრიას კანდიდატურაზეც, თუმცა ამ სფეროს შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების აზრი. ჩვენი პრიორიტეტი იქნება ხელისუფლებისადმი არა ლოიალური, არამედ მაქსიმალურად კრიტიკული ომბუდსმენის დანიშვნა,"** - აღნიშნა სოზარ სუბარმა.

ამირან გამყრელიძე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში რადიკალურ საკადრო ცვლილებებსა და რეორგანიზაციას არ აპირებს. ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატი ჯანდაცვის სამინისტროს სამმართველოებისა და დეპარტამენტების უფროსებს შეხვდება. მანამდე კი მან სამმართველოსა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს 2-3 გვერდიანი ინფორმაციის მომზადება დაავალა, თუ რას საქმიანობენ, რა აქვთ გაკეთებული და რის გაკეთებას აპირებდნენ. ამის შემდეგ ამირან გამყრელიძე 100-დღიან სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს.

ასევე, გამყრელიძემ დავალებები მისცა იურიდიული სამსახურის უფროსს, რათა ჯანდაცვის კანონმდებლობის ინვენტარიზაცია მოხდეს და გაირკვეს, რა ცვლილებები შევიდა ჯანდაცვის კანონმდებლობაში ბოლო პერიოდში, რა ხარვეზებია და რა არის მოსაგვარებელი. **"ჩემთან მუშაობა რთულია, დღე და ღამ მოგვიწევს შრომა. თუ ოცი დღის შემდეგ პარლამენტი ჩემს კანდიდატურას დაამტკიცებს, მაშინ ერთად ვიმუშაოთ. განაწესის თანახმად, როდესაც მინისტრი იცვლება, იცვლებიან მოადგილეები, სამსახურის უფროსები, თანაშემწეები და მძღოლები, მაგრამ ეს უწყება სოციალურ სფეროს ემსახურება და არავინ დარჩება ყურადღების მიღმა და უმუშევარი,"** - განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

შეხვედრისას გამყრელიძემ ისიც აღნიშნა, რომ ჯანდაცვა თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, უნდა გაკონტროლდეს ხარჯები, თითოეული თეთრი უნდა მივიდეს ადრესატამდე და მოხმარდეს ჯანდაცვის სისტემის განმტკიცებას.

"ჩვენ მდიდარი ქვეყანა არ ვართ. საბაზისო პაკეტი დიდი არ არის, მაგრამ მოწყვლადი ფენები ჯანდაცვის მომსახურებით სრულფასოვნად უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ," - განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატი კახი კალაძე არ გამორიცხავს, რომ რეგიონული განვითარების სამინისტროში აუდიტი ჩატარდეს. **"შეხვედრა იქნება იმ მიზნით, რომ გავეცნოთ. არ არის გამორიცხული, აუდიტის სამსახურიც შევიდეს, რათა ძირფესვიანად გავიგოთ, თუ რა სიტუაციაა სამინისტროში,"** - აცხადებს კახი კალაძე.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრობის კანდიდატის განმარტებით, რეგიონული პროექტები გაგრძელდება, თუმცა დაწყებული პროექტები აუცილებლად გადაიხედება და ამის შემდეგ გადაწყდება, თუ კონკრეტულად რომელი პროექტის რეალიზაცია მოხდება.

მთავარი პროკურორობის კანდიდატი არჩილ კბილაშვილი ოფიციალურ დანიშვნამდე პროკურატურაში მისვლას არ გეგმავს. **"როდესაც გენერალურ პროკურორად ოფიციალურად გავმწესდები, მაშინ შევალ და დავიწყებ ჩემი ფუნქციის შესრულებას. წინასწარ ჯერჯერობით იმ აზრზე არ ვარ, რომ არაოფიციალური პოზიციიდან შევიდე და იქ გარკვეული ფუნქციები შევასრულო,"** - განაცხადა კბილაშვილმა.

რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატისა და მოქმედი საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრას, ის, სავარაუდოდ, 17-18 ოქტომბერს გაიმართება. **"ჩემი წარმომადგენელი სამინისტროში უკვე იმყოფებოდა. მინისტრი საქართველოში არ არის, იგი 17 ოქტომბერს ჩამოვა და ჩვენი შეხვედრაც 17-18 ოქტომბერს გაიმართება,"** - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრობის ახალი კანდიდატის ალექსი პეტრიაშვილის განმარტებით, მას ჩამოყალიბებული აქვს პრიორიტეტები, რომლებიც, პირველ რიგში, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გაგრძელებას და გაძლიერებას ისახავს მიზნად. **"პოლიტიკური კურსი არ იცვლება. საქართველო არათუ არ გადაუხვევს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზიდან, არამედ შეეცდება, მაქსიმალურად დროულად მოახდინოს საქართველოს ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანება,"** - განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა. მისი თქმით, არსებობს სრული მზაობა იმისთვის, რომ გაგრძელდეს სამინისტროს ყველა ძირითადი მიმართულება - მათ შორის ვიზიტები და მოლაპარაკებები, რომლებიც დაგეგმილია როგორც თბილისში, ასევე ბრიუსელსა და სხვადასხვა ქვეყნებში.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ის აუცილებლად გადახედავს, თუ როგორ იმუშავა ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების ინიციატივამ. **"მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნეიტრალურმა სამგზავრო დოკუმენტებმა არ გაამართლა. მას უმეტეს შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეები იღებდნენ და არა ის ადამიანები, რეალურად ვისთვისაც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი მთავრობის ინიციატივა. ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება რჩება. აუცილებლად უნდა იქნეს შესწავლილი, თუ როგორ იმუშავა აღნიშნულის შესახებ საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის პოლიტიკამ,"** - განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატი თქმით, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი ალტერნატიული დოკუმენტებით არ ჩანაცვლდება. **"ამის ალტერნატიული ვარიანტი მხოლოდ საქართველოს პასპორტია. საქართველოს აქვს თავისი სახელმწიფო პასპორტი. აფხაზები და ოსები ყოველთვის ამბობდნენ, რომ მათ ჩვენ ხელს შევუშლით მსოფლიოში მოგზაურობას. ჩვენ მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ, რათა შევაღათიანი პირობებით იმოგზაურონ, ოღონდ აიღონ საქართველოს პასპორტები. ნეიტრალური პასპორტით მხოლოდ იმ სახელმწიფოებში ივლიან, რომლებმაც აღიარეს, ქართული პასპორტით კი - მთელ მსოფლიოში,"** - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატმა.

თუ ნეიტრალური დოკუმენტები გაუქმდება, დარჩება ის შეღავათები, რომლებიც ამ პასპორტების მქონე პირთათვის არსებობდა - ოღონდ საქართველოს პასპორტის აღების შემთხვევაში.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების რეესტრის შექმნა იქნება.

კონსტანტინე სურგულაძია განცხადებით, სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველოს მოქალაქეებს საკუთარი ქვეყნის ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის საშუალება ჰქონდეთ. **"ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს შევუქმნათ ყველა პირობა, ღირსეულად დაბრუნდნენ და ღირსეულად იცხოვრონ საქართველოში. რეინტეგრაციის პროცესი მაქსიმალურად კომფორტული უნდა იყოს,"** - განაცხადა კონსტანტინე სურგულაძემ.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატს ჯერჯერობით არ უფიქრია, ვის დანიშნავს თავის მოადგილეებად. გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებს, რაც სამინისტროს პროგრამებსა და საქმიანობას გაეცნობა, თუმცა მინისტროების კანდიდატი სამინისტროში მისვლის თარიღს ჯერ არ აკონკრეტებს.

სამშაბათი, 9 ოქტომბერი, 2012 წელი

ბანკი კონსტანტა
BANK CONSTANTA

ბანკ კონსტანტას" საწესდებო კაპიტალი 4,5 მილიონი ლარით გაიზარდა

2012 წლის სექტემბერში, აქციონერთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ბანკი კონსტანტას" საწესდებო კაპიტალი 4,5 მილიონი ლარით გაიზარდა.

კრებაში მონაწილეობა მიიღეს სს ბანკი კონსტანტას" აქციების 100%-ის მფლობელემა.

გაზრდილი საწესდებო კაპიტალის მეშვეობით, ბანკის მენეჯმენტი საქართველოში ყველაზე მზარდი საბანკო ინსტიტუციის ტიტულის შენარჩუნებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მომსახურების კიდევ უფრო გაუმჯობესებასა და იმ რეგიონების დაფარვას გეგმავს, სადაც მომხმარებელს საბანკო მომსახურებაზე ხელი არ მიუწვდება.

ბანკის სტრატეგიად კვლავ რჩება გეოგრაფიული დიფერსიფიკაცია. სამომავლოდ, ბანკი კონსტანტა" კიდევ უფრო აქტიურად გეგმავს ქვეყანაში აგრობიზნესის დაფინანსებას.

შეგახსენებთ, რომ ბანკი კონსტანტა" საქართველოში მოღვაწე ბანკებს შორის მიკრო და მცირე ბიზნესის ყველაზე აქტიური დამფინანსებელია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტიც ქვეყანაში აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა გახლავთ.

გასული წლის ბოლოსათვის, ბანკი კონსტანტა", აქტივების სიდიდის მიხედვით, ქართული ბანკების რეიტინგში პირველ ათეულს შეუერთდა; 2012 წლის გაზაფხულზე კი კომპანია ქვეყანაში ყველაზე აქტიურ დამსაქმებლად დასახელდა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ქართველი ერის არჩევანი და კონსტიტუცია

პირველი გვერდიდან

სააკაშვილ-ივანიშვილის შეხვედრა, დაახლოებით, 30 წუთს გაგრძელდა. მისი ღია ნაწილი მკაცრად რეგლამენტირებული იყო. მხარეები ეტიკეტის დაცვას ცდილობდნენ. შეხვედრის შემდეგ ორივე მათგანმა განცხადებები გააკეთა, თუმცა მას მხოლოდ ოპერატორები და ფოტოგრაფები დაასწრეს. ჟურნალისტებს კითხვების დასმის საშუალება არ მიეცათ.

საუბარი მიხეილ სააკაშვილის გვერდით მდგომმა ბიძინა ივანიშვილმა დაიწყო.

"ჩვენი შეხვედრა იმ ჯანსაღი პოლიტიკის გაგრძელება გახლდათ, რომელიც მე და ჩემმა გუნდმა საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში შემოვიტანეთ. მე და ჩემმა გუნდმა მოვახერხეთ და საქართველოში დემოკრატიული გზით ხელისუფლების შეცვლის პრეცედენტი შევქმენით, რაც საქართველოს ისტორიაში აუცილებლად ღირსეულად მოიხსენება. ის, რომ ჩვენ მთელი წლის განმავლობაში ჩვენი ოპონენტების ყველა უღირს ქცევას ღირსეულად ვპასუხობდით, ამ შეხვედრის მიზეზია. ვაცხადებდით და ვაცხადებთ, რომ ჩვენს ოპონენტებს მოვექცევით არა ისე, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ჩვენი ქვეყანა, ქართველი ხალხი, ჩვენი კულტურა იმსახურებს. დღევანდელი ჩვენი შეხვედრის მიზეზიც ეს გახლდათ," - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა. ის შეხვედრაზე განხილულ თემებს მოკლედ შეეხო და მიუთითა, რომ თანხვედრაში მოდის ის საგარეო პოლიტიკა, რაც ორივე მხარის მიერ იყო გაცხადებული. **"ევროპა და ევროატლანტიკური სივრცე ჩვენი სტრატეგიაა და წინა ხელისუფლების მიდგომა გაგრძელდება. ჩვენ ევროპისკენ განუხრელი სწრაფვა გვექნება და საქართველო უახლოეს ხანში მოახერხებს, რომ ნატო-ს წევრი ქვეყანა გახდეს,"** - აცხადებს ივანიშვილი. ის შეხვედრის გამართვით კმაყოფილია და ამის მიზეზებზეც ისაუბრა.

"კარგია, რომ სააკაშვილმა არჩევნების ბოლოს იმ განცხადების გაკეთება მოახერხა, რაც მე შევუქე. ახლანდელი შეხვედრაც იმას ემსახურება, ვაჩვენოთ, რომ კულტურული ერი ვართ, ახალ ცხოვრებას ვიწყებთ და ჩვენს ოპონენტებს ყოველთვის ღირსეულად მოვექცევით," - ამბობს ივანიშვილი.

მიხეილ სააკაშვილმა ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე პროცესს ისტორიული უწოდა.

როგორც პრეზიდენტი ამბობს, ამ რეგიონში, პოსტსაბჭოთა სივრცის ამ ნაწილში პირველად, აღმასრულებელი ხელისუფლების უმეტესი ფუნქციების მშვიდობიანად და დემოკრატიულ ფარგლებში გადაეცემა. **"ყოველთვის ვამბობდით და ვიტყვით, რომ ქართველი ერის არჩევანს პატივს ვცემთ. ქართველი ხალხი ის უზენაესი მოქმედი პირია, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს განსაზღვრავს. ჩვენ ვისაუბრეთ და, რა თქმა უნდა, არავისთვის მოულოდნელი არ არის, რომ ძალიან ბევრ პოლიტიკურ და ეროვნულ საკითხზე ჩვენ შორის ფუნდამენტური განსხვავებები რჩება. მაგრამ, ჩვენ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება, მე, როგორც პრეზიდენტი, რომელიც კონსტიტუციის გარანტია, უზრუნველვყოფ, რომ მთავრობების ფუნქციების გადასვლა ყოველგვარი ექსცესების გარეშე მოხდეს. მოხდეს ისე, როგორც საქართველოს ისტორიაში არასდროს მომხდარა. ქართველი ხალხის ინტერესები სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული. პოლიტიკური პროცესები დემოკრატიულ ჩარჩოებში უნდა შენარჩუნდეს. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ დემოკრატია, მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოში თავისუფალი არჩევნები მომავალშიც გაგრძელდეს. საქართველოში დემოკრატია გაძლიერდეს, მისი განვითარების საშუალება იყოს და ქართველ ხალხს უკეთესი პერსპექტივები შეექმნას. მე, როგორც პრეზიდენტი და ჩვენ, ყველა, ვიზრუნებთ იმაზე, რომ ქართველი ხალხის ინტერესები დაცული იყოს. ეს იყო, რაც ყოველთვის მამოძრავებდა და ასე იქნება მომავალ თვეებში, წლებში და ჩემი და ჩემი თანამებრძოლების მოღვაწეობაში. ამიტომ, ვფიქრობ, რომ იმას, რაც მოხდა, ქართველი ხალხი თავისებურად შეაფასებს. დრო არის საჭირო იმისთვის, რომ ბევრი რამ დაინახო და გააანალიზო, მაგრამ ახლა ყველა მომავალსა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობაზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებულები. ფუნდამენტური განსხვავებების მიუხედავად, ჩვენ ამ პროცესის სამართლებრივად, კონსტიტუციურად სწორ ჩარჩოებში წარმართვას ვახერხებთ,"** - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი და დასძენს, რომ მისი პოლიტიკური გუნდი, როგორც საქართველოს მოქალაქეები და პოლიტიკოსები, მომავალშიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ.

მას შემდეგ, რაც კოალიციის წევრებმა პრეზიდენტის ადმინისტრაცია დატოვეს, მიხეილ სააკაშვილთან საუბარი მისივე სამუშაო ჯგუფის წევრებმა გააგრძელეს. მოგვიანებით, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ ივანიშვილ-სააკაშვილის შეხვედრა ორივე მხრიდან დადებით ნაბიჯად შეაფასა. **"მთლიანობაში შეხვედრის ფაქტი დადებითია და ეს მიმდინარე პროცესების პოზიტიური ნაბიჯი იყო. დღეს თითოეული ჩვენგანი ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარების პრეცედენტს ქმნის. მოქმედი ხელისუფლება ხალხის აზრს პატივს სცემს და ოპოზიციაში მშვიდობიანად გადადის,"** - თქვა დავით ბაქრაძემ. მანვე აქცენტი პრეზიდენტის განცხადებაზე გააკეთა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტის სიტყვები ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობით იყო გამსჭვალული.

ივანიშვილისა და სააკაშვილის განცხადებების შესახებ უფრო დეტალურად "ნაციონალური მოძრაობის" წევრმა პავლე კუბლაშვილმა ისაუბრა. **"მოვისმინეთ ქვეყნის პრეზიდენტის მიმართვა და ამ პროცესის შეფასება, რაც სახელმწიფო მოღვაწის საუბარს შეესაბამება. მეორე მხრივ, მოვისმინეთ ბატონი ივანიშვილის განცხადება, რომელიც პოლიტიკური პარტიის ლიდერის შეფასებას უფრო ჰგავდა, ვიდრე იმ ადამიანისას, რომელმაც სულ მალე ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობა უნდა დაიკავოს,** - ამბობს პავლე კუბლაშვილი, - **ვისურვებ, რომ სხვადასხვა საკითხების მიმართ მისი ხედვები უფრო მეტად წარმოჩინდეს და მისი პოზიცია სახელმწიფოსთან უფრო მეტად იყოს კავშირში."**

ორმხრივ შეხვედრას კოალიციაშიც დადებითად აფასებენ. თავდაცვის მინისტრობისა და ვიცე-პრემიერობის კანდიდატი ირაკლი ალასანია მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა, როგორც ივანიშვილის მხრიდან, ასევე მეორე მხრიდან აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება იყო.

"ბუნებრივია, ვიცით, ორმხრივი შეხვედრის დროს რა საკითხებზე საუბრობდნენ, მაგრამ ის განცხადებები, რომლებიც გაკეთდა, ამ ეტაპზე სრულიად საკმარისია. მოგვიანებით, როდესაც თვითონ მიიჩნევენ საჭიროდ, დეტალებზე თვითონვე ისაუბრებენ," - თქვა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრობის კანდიდატმა სოზარ სუბარმა მოგვიანებით გამართულ პრესკონფერენციაზე. მანვე დასძინა, რომ შეხვედრა ეხებოდა ხელისუფლების რაც შეიძლება სწრაფად და უმტკივნეულოდ გადაბარების პროცესს. სამუშაო ჯგუფების წევრებმა კი, როგორც სუბარი დასძენს, შეხვედრაზე კონკრეტული დეტალები განიხილეს.

მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები

პირველი გვერდიდან

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მომავალი თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ, როდესაც დეპუტატები ზუსტ ინფორმაციას მიიღებენ, თუ რამდენ პრობლემას და რა მოცულობის საბიუჯეტო ხარჯს იწვევს პარლამენტის ქუთაისში გადატანა, ისინი აუცილებლად მიიღებენ გონიერ გადაწყვეტილებას.

"ამ ეტაპზე ისიც კი არ არის ცნობილი, სად და რა სახსრებით იცხოვრებენ არათუ დეპუტატები, არამედ პარლამენტის აპარატის 700-მდე თანამშრომელი. თუ საუბარია ამჟამინდელი პროფესიონალი კადრების გაშვებაზე, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ გამოცდილი თანამშრომლების გარეშე პარლამენტის მუშაობაც არ იქნება სრულფასოვანი," - ამბობს "24 საათთან" საუბარში ვახტანგ ხმალაძე.

გარდა ამ საკონსტიტუციო ცვლილებისა, ახალი უმრავლესობა ფუნდამენტურ ცვლილებას გეგმავს საქართველოს კონსტიტუციის იმ თავებში, რომლებიც პარლამენტს, პრეზიდენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებას, სახელმწიფო ფინანსებსა და სახელმწიფო კონტროლს ეხება.

"უნდა დაიდოს სახელმწიფოს მოწყობის ისეთი მოდელი, რომელშიც არც ერთ განშტოებას არ ექნება უპირატესობა. რაც ჩვენს პროგრამაში წერია, ეს არის კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკა, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას აკონტროლებს და ცვლის პარლამენტი. დღეს სუპერ საპრეზიდენტო სახელმწიფო გვაქვს, მაგრამ ახალი კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ მივიღებთ სუპერ საპრემიერო ქვეყანას. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მოცემულობით "ქართული ოცნების" ლიდერი მომავალი პრემიერ-მინისტრია, ჩვენ მზად ვართ, ეს ინსტიტუტი შევასუსტოთ," - ასეთია საპარლამენტო უმრავლესობის სახელმწიფო მოწყობის გეგმა.

რაც შეეხება პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შესუსტებას, ვახტანგ ხმალაძე აცხადებს: **"პრეზიდენტს, პირველ რიგში, ჩამოვაშორებთ იმ უამრავ უფლებამოსილებას, რომელიც მას ბოლო წლების განამვლობაში ჩამოკიდეს. თუნდაც იმას, რომ პრეზიდენტი მინისტრის წარდგინებით ნიშნავს მინისტრის მოადგილეს და სხვა თანამდებობის პირს. ეს არა პრეზიდენტის, არამედ თავად მინისტრის პრეროგატივაა."**

ვახტანგ ხმალაძის განმარტებით, გარდა კონსტიტუციისა, დღევანდელ კანონმდებლობაში უამრავი ორაზროვანი ნორმაა, რომელსაც დაინტერესებული პირები, საკუთარი სურვილისამებრ, სიტუაციიდან გამომდინარე ირგებდნენ. მაგალითად, ხმალაძის განმარტებით, უნდა შეიცვალოს საგადასახადო კანონმდებლობა. კერძოდ, მისაღებია კანონი თავისუფალი კონკურენციის შესახებ, რათა ქვეყანაში ანტიმონოპოლური სამსახური ჩამოყალიბდეს, რაც "არსებულ ელიტარულ კორუფციას შეასუსტებს".

"მონოპოლია და ელიტარული კორუფცია ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ამ დანაშაულს, პირველ რიგში, საკანონმდებლო ცვლილებით უნდა შევებრძოლოთ. ამისთვის "საქართველოს განვითარების კვლევის ინსტიტუტს" უკვე მომზადებული აქვს კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში იქნება ინიცირებული და განხილული," - აცხადებს ხმალაძე.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მომავალი თავმჯდომარის განმარტებით, შესაცვლელ კანონთა რიგშია "კანონი ბუნებრივი რესურსების შესახებ", რადგან არსებობს საფრთხეები, რომლებიც ეხება ტყეებს და მიწის საფარს. რეფორმა იგეგმება შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაშიც. ხმალაძის ვერსიით, შს სამინისტროს უნდა ჩამოშორდეს უშიშროების სამსახური, ხოლო თავად სამინისტრო სამოქალაქო სამსახურად უნდა გარდაიქმნას - პოლიცია შსს-ს მხოლოდ ერთი ნაწილი იქნება. უმრავლესობა გეგმავს პროკურატურის ფუნქციის შეცვლას და მისთვის, პოლიციის დევნის ნაცვლად, კანონის დაცვის ფუნქციის მინიჭებას. ცვლილება შევა "საპროცესო კოდექსშიც" და ადვოკატის უფლებები გაიზრდება, რითაც, ხმალაძის თქმით, საბოლოოდ მივიღებთ შეჯიბრებითობაზე დამყარებულ მართლმსაჯულებას.

ეს იმ საკანონმდებლო ცვლილებების მცირე ნაწილია, რომელთა განხორციელებასაც "ქართული ოცნების" დეპუტატები მომავალ პარმალენტში გეგმავენ. თუმცა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მომავალი თავმჯდომარის განცხადებით, მთავარი ცვლილება თავად საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის პროცედურებში იქნება. ვახტანგ ხმალაძის თქმით, პარლამენტში შესული ყველა კანონპროექტი გამოქვეყნდება და მათი საჯარო სამოქალაქო განხილვა მოხდება.

საქართველო-ევროკავშირს შორის ორი საფინანსო შეთანხმება გაფორმდა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2011 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ორი საფინანსო შეთანხმება გაფორმდა. საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო სამინისტროს აპარატის ცნობით, მინისტრმა თორნიკე გორდაძემ საფინანსო შეთანხმებას ხელი გუშინ მოაწერა.

სამინისტროს ინფორმაციით, საფინანსო შეთანხმებების ბიუჯეტი 23 მილიონ ევროს შეადგენს და ის გულისხმობს: 1. სექტორული პოლიტიკის მხარაჭერის პროგრამას "იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიმღები თემის მხარდასაჭერად" - 19 მილიონი ევრო; 2. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროგრამას - 4 მილიონი ევრო.

ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი ფილიპ დიმიტროვი.

დოკუმენტებს ევროკომისიის სახელით ბრიუსელში უკვე მოაწერა ხელი ევროკომისიის განვითარებისა და თანამშრომლობის დირექტორატის ხელმძღვანელმა მარკუს კორნარომ.

"თუ "ქართული ოცნება" აფხაზეთის დაბრუნებაა, ეს აუხდენელი ოცნებაა"

"თუ "ქართული ოცნება" ის არის, რომ აფხაზეთი დაიბრუნონ, მაშინ ეს აუხდენელი ოცნებაა," - აფხაზური მედიის ცნობით, ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა განაცხადა. მისი თქმით, იგი ნებისმიერ მთავრობას დაელპარაკება, ოღონდ - თანაბარ პირობებში.

"თუ "ქართული ოცნება" სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერას გულისხმობს, მაშინ ამ საკითხის განხილვა შესაძლებელია. ჩვენ ვცხოვრობთ კონსტიტუციით, რომელშიც აღნიშნულია, რომ აფხაზეთი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ეს საკითხი გადახედვას არ ექვემდებარება. ეს არის არა მხოლოდ აფხაზეთის მთავრობის, არამედ აფხაზი ერის აზრი," - განაცხადა ანქვაბმა.

"აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე საქართველოსთან მოლაპარაკებებს არ დავიწყებთ"

"რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედზე საქართველოსთან მოლაპარაკებებს არ დაიწყებს," - ამის შესახებ, როგორც "ინტერპრესნიუსი" რუსულ მედიაზე დაყრდნობით იუწყება, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დავით სანაკოევთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. "რამე მოლაპარაკებები საქართველოსთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედზე, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ ქვეყანასთან, არ გვექნება, რადგან ამ რესპუბლიკების ბედი ხალხმა გადაწყვიტა და დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი," - განაცხადა ლავროვმა. ამასთან, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გამოთქვა იმედი, რომ არჩევნები და ის ცვლილებები, რომლებსაც ქართველმა ხალხმა დაუჭირა მხარი, საქართველოს ხელისუფლებას მეზობლებთან ურთიერთობების ნორმალიზაციის საშუალებას მისცემს.

არასამთავრობო ორგანიზაციები პრეზიდენტის ბრძანებულებებისთვის დამატებითი განმარტებებს ითხოვენ

არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს პრეზიდენტის 5 ოქტომბრის ბრძანებულებებს ეხმაურებიან და მიიჩნევენ, რომ ბრძანებულებებს საზოგადოებისთვის დამატებითი განმარტებები სჭირდება. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო", "ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი" და "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" ერთობლივ განცხადებაში აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოსა და სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის ფუნქციის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის (სდსს) გადაცემა აღნიშნულ უწყებებზე პრეზიდენტის გავლენას ზრდის, რადგან სდსს უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტს ექვემდებარება. "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამ სამსახურის მიზანს წარმოადგენს პრეზიდენტის, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა უმაღლესი ორგანოების თანამდებობის პირების დაცვა, ასევე - საქართველოში ვიზიტით მყოფი უცხო ქვეყნის უმაღლესი თანამდებობების პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სხვა მნიშვნელოვანი პირებისა. შესაბამისად, სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოსა და სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კონტროლის ქვეშ გადასვლა შესაბამისობაში არ მოდის კანონმდებლობით ამ სამსახურისთვის განსაზღვრულ მიზნებთან. მიგვაჩნია, რომ პოსტსაარჩევნო პერიოდში, ახალი პარლამენტისა და მთავრობის ფუნქციონირების დაწყებამდე ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება მიზანშეწონილი არ არის და საჭიროებს დამატებით განმარტებებს საზოგადოებისთვის," - ნათქვამია არასამთავრობოების განცხადებაში. ცნობისათვის - საქართველოს პრეზიდენტმა 5 ოქტომბერს ორი ბრძანებულება გამოსცა (#924 და #925), რომლებითაც სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოსა და სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის ფუნქცია სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს გადაეცა.

პარლამენტის ახალი ვიცე-სპიკერები და კომიტეტის თავმჯდომარეები

პრემიერობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა, მთავრობასთან ერთად, პარლამენტის ვიცე-სპიკერობის და კომიტეტების თავმჯდომარეობის კანდიდატებიც წარადგინა. კერძოდ, პარლამენტის მომავალი თავმჯდომარის მოადგილეებად მანანა კობახიძე, ზვიად ძიძიგური, ზურაბ ტყემალაძე და ზურაბ აბაშიძე მოიაზრებიან. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატად გია ცაგარეიშვილი დასახელდა, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატად - დავით ონოფრიშვილი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე იქნება, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე - ირაკლი სესიაშვილი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - დიმიტრი ხუნდაძე, განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე - ივანე კიღურაძე, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე - ნოდარ ხადური. რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობის და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტს ირაკლი ტრიპოლსკი უხელმძღვანელებს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტს კი - ლერი ხაბელოვი. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძე გახდება, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე - ეკა ბესელია. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ ვახტანგ ხმალაძე დასახელდა, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარედ კი - ირინა იმერლიშვილი. აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი იქნება. მომავალმა პრემიერმა დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარედ გუბაზ სანიკიძის კანდიდატურა დაასახელა, თუმცა დასძინა, რომ "ფორუმელი" ჯერ ფიქრობს.
გთავაზობთ ზემოთ აღნიშნულ პოლიტიკოსთა ბიოგრაფიებს:

ზვიად ძიძიგური

დაიბადა 1964 წლის 24 ოქტომბერს. არის საქართველოს "კონსერვატიული პარტიის" თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის ორგზის (1990, 2003) წევრი.

დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. 1987 წლიდან ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში. იყო სამტრედიაში რკინიგზის გადაკეტვის აქციის ერთ-ერთი ინიციატორი. მონაწილეობდა 1990 წლის არჩევნებში და გახდა სამტრედიის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს უზენაეს საბჭოში. 1991 წელს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრძანებით დაინიშნა სამტრედიის რაიონის პრეფექტად და იმერეთის მხარის პოლიტიკურ რწმუნებულად. აღნიშნული პოსტები ძიძიგურს 1992 წლის სამხედრო გადატრიალებამდე ეკავა.

1995 წელს ზვიად ძიძიგური, ძმასთან და სიძესთან ერთად, დაატაპიმრეს, სასამართლომ მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 2000 წელს ძიძიგური ვადამდე გათავისუფლდა. ამის შემდეგ მან დააარსა პოლიტიკური მოძრაობა "ეროვნულ ძალთა გაერთიანება". 2002 წელს "ეროვნულ ძალთა გაერთიანება" გაერთიანდა ბლოკში "რესპუბლიკურ პარტიასთან" და "ნაციონალურ მოძრაობასთან". ძიძიგური ბლოკის სახელით 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა და სამტრედიის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა.

2004 წლიდან პერიოდულად იყო საქართველოს პარლამენტის "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე. დაუპირისპირდა ხელისუფლებას. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოპოვებულ მანდატზე პოლიტიკური მოტივების გამო უარი განაცხადა.

2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში იყო ეროვნული საბჭოს კანდიდატი თბილისის მერის პოსტზე. მისი საარჩევნო ლოზუნგი იყო "ბრძოლა დღესვე". მერის არჩევნებში, ხმათა 8,3 პროცენტით, მეოთხე ადგილი დაიკავა.

ზვიად ძიძიგური კოალიცია "ქართულ ოცნებას" დამოუკიდებელი სუბიექტის სტატუსით შეუერთდა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში რუსთავის მაჟორიტარულ ოლქში გაიმარჯვა.

ზურაბ აბაშიძე

დაიბადა 1973 წლის 3 მაისს. დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი. პოლიტიკური კარიერა 1996 წელს დაიწყო. ორი წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში უფროსის თანაშემწე იყო, 1998-2000 წლებში კი - მრჩეველი საქართველოს უშიშროების საბჭოში. 2000 წელს ზურაბ აბაშიძე იუსტიციის საბჭოს მდივნის თანამდებობაზე დაინიშნა და ამავდროულად იუსტიციის საბჭოს წევრი გახდა. 2004 წელს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს, შემდეგ კი - სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსად. 2005-2007 წლებში ზურაბ აბაშიძე იყო აფხაზეთის მთავრობის წევრი და მინისტრი საგანგებო დავალებათა საკითხებში. ის მთავრობის აპარატის უფროსის და ფინანსთა მინისტრის მოადგილის მოვალეობებსაც ასრულებდა. 2007-2008 წლებში საქართველოს კონტროლის პალატის გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა. 2008-2009 წლებში ასრულებდა საქართვლოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მრჩევლის მოვალეობას. 2010 წელს აირჩიეს თბილისის მეოთხე საკრებულოს წევრად და თავმჯდომარის მოადგილედ. პარტია "თავისუფალი დემოკრატების" დაარსებიდან 2010 წლის ივნისამდე ზურაბ აბაშიძე პარტიის გენერალური მდივანი იყო. ამჟამად ის პარტიის თავმჯდომარის მოადგილეა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიციამ "ქართულმა ოცნებამ" ზვიად აბაშიძე მაჟორიტარობის კანდიდატად სამგორის ოლქში წარადგინა.

ზურაბ ტყემალაძე

პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის ორგზის წევრი (1999, 2004). დაიბადა 1944 წლის 18 იანვარს. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი, ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. 1965-1992 წლებში მუშაობდა სამტრესტის ღვინის სხვადასხვა ქარხნებში. 1992 წლიდან იყო საქართველოში პირველი პრივატიზებული საწარმოს შპს. "სამების" გენერალური დირექტორის მოადგილე, ხოლო 1995 წლიდან - გენერალური დირექტორი. 1995-1999 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრი.

პოლიტიკაში 1999 წელს ჩაერთო, როდესაც, თანამოაზრეებთან ერთად, დააფუძნა პოლიტიკური მოძრაობა "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" და გახდა ამ მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილე. 1999-2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარის მოადგილე. 2004 - 2008 წლებში ასევე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარე. 2005 წელს აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ.

ზურაბ ტყემალაძეს მინიჭებული აქვს პროფესორის წოდება. არის 20-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, გამომგონებელი და 15-მდე ქართული ღვინის მარკის ავტორი. ტყემალაძე არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი; ბიზნეს-მეცნიერებათა აკადემიის წევრი. საქველმოქმედო საზოგადოება "თბილისელის" საპატიო წევრი. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

დავით ონოფრიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ვანდერბილთის უნივერსიტეტის (ნეშვილი, აშშ) ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკური პარტია "თავისუფალი დემოკრატების" ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე. დაიბადა 1961 წლის 8 იანვარს თბილისში. სწავლობდა თსუ-ში ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით, ასევე, მოსკოვის სახალხო მეურნეობის პროგნოზირების ინსტიტუტის ასპირანტურასა და აშშ-ს ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის საერთაშორისო და საზოგადოებრივი სკოლის (SIPA) მაგისტრატურაზე ეკონომიკური პოლიტიკის მართვის სპეციალობით. იყო თბილისის სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. დავით ონოფრიშვილი 1993 წლიდან მუშაობდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წამყვან სახელმწიფო მრჩეველად მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, გაერო0ს განვითარების პროგრამის მისიებთან ტექნიკური დახმარების კოორდინაციის საკითხებზე. 1994-95 წლებში ვაშინგტონსა და თბილისში მუშაობდა მსოფლიო ბანკის ექსპერტ-კონსტულტანტად საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების და წამგებიან საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და პრივატიზაციის პროექტებზე. 1995 წელს აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად და ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარედ. დავით ონოფრიშვილი არის საქართველოს პარლამენტში საბიუჯეტო ოფისის შექმნის ინიციატორი. ის, 1998-2000 წლებში იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრი. ამავე დროს, ეროვნული უშიშროების საბჭოს და პრეზიდენტთან არსებული საინვესტიციო საბჭოს წევრი, საქართველოს მმართველი მსოფლიო ბანკში. 2000-2002 წლებში იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტი ფისკალურ საკითხებში. 2004-2005 წლებში კი - საქართველოს რკინიგზის დირექტორთა საბჭოს თავჯდომარე. 2009 წლიდან არის ქართველ მასკელთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე და პარტია "თავისუფალი დემოკრატების" წევრი.

თედო ჯაფარიძე

დაიბადა 1946 წლის 18 სექტემბერს. სწავლობდა თსუ-ში რომანულ-გერმანული ენების და ლიტერატურის სპეციალობის განხრით. მუშაობდა თსუ-ს ზეპირი მეტყველების ლაბორატორიის ლაბორანტად, სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის აშშ-სა და კანადის ინსტიტუტის ასპირანტად, სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის აშშ-სა და კანადის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად.

90-იან წლებში, სხვადასხვა დროს, იყო საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს იუნესკოს საქმეთა საბჭოს თავჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური ანალიზისა და ინფორმაციის სამმართველოს უფროსი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების სამმართველოს უფროსი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (ორჯერ), ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში. თანამშრომლობდა აზერბაიჯანის დიპლომატიურ აკადემიასთან. ექს-პრეზიდენტ შევარდნაძის ადმინისტრაციაში იგი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო 2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ მან საგა-

---

VTB

"ვითიბი ბანკის" სამომხმარებლო სესხი 15 პროცენტად

სოფო ჩიხლაძე

ვითიბი ბანკი"კლიენტებს სამომხმარებლო სესხს ყველაზე დაბალ საპროცენტო განაკვეთში სთავაზობს. სესხების საშემოდგომო აქცია ბანკმა გუშინ დაიწყო და 15 ნოემბრამდე გაგრძელდება. სამომხმარებლო სესხი წლიური 15-პროცენტიანი განაკვეთით მომხმარებელს შეუძლია აიღოს როგორც ლარში, ასევე დოლარში და ევროში. სამომხმარებლო სესხზე მაქსიმალური თანხა 30 ათასი ლარია, ან ეკვივალენტი სხვა ვალუტაში. სესხის მინიმალური ვადა 4 თვეა, მაქსიმალური კი - 4 წელი. **"როგორც ცნობილია, ვითიბი ბანკი" მომხმარებელს მუდმივად სთავაზობს აქციებს სხვადასხვა საბანკო პროდუქტებზე. ამჯერად ჩვენ ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად პროდუქტზე -სამომხმარებლო სესხებზე ფიქსირებულ 15-პროცენტიან აქციას ვიწყებთ. ამგვარი ნაბიჯით ვითიბი ბანკი" ცდილობს, შეღავათიანი და კონკურენტუნარიანი განაკვეთი შესთავაზოს მომხმარებელს. მინდა აღვნიშნო, რომ დღეისათვის ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შეიძლება საქართველოს ბაზარზე ნებისმიერმა მომხმარებელმა მოიძიოს. გვჯერა, რომ აქცია ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც წინა აქციები იყო,"** - განაცხადა ვითიბი ბანკის" საცალო ბიზნესის დირექტორმა ვალერიან გაბუნიამ.

სამომხმარებლო სესხებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი ვითიბი ბანკმა" მომხმარებელს ზაფხულის აქციის ფარგლებში შესთავაზა - წლიური 16-პროცენტიანის ფარგლებში. აქცია 16 ივლისს უნდა დასრულებულიყო, თუმცა მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე ბანკმა აქციის მოქმედების პერიოდი ერთი თვით გაზარდა. ვითიბი ბანკში" აცხადებენ, რომ კლიენტების მხრიდან ინტერესი ამ შემთხვევაშიც თუ მაღალი იქნება, შესაძლებელია, აქციის დასრულების ვადა გადაწიონ.

იმისთვის, რომ მომხმარებელმა ვითიბი ბანკის" ახალი შეთავაზებით ისარგებლოს, საჭიროა ჰქონდეს დადასტურებული შემოსავალი ნებისმიერ ბანკში და დადებითი საკრედიტო ისტორია.

ვითიბი ბანკს" სამომხმარებლო სესხზე სხვა ტიპის პროდუქტიც აქვთ, რომლის შემთხვევაშიც მომხმარებელს ბანკიდან საკმაოდ დიდი თანხის გატანა შეუძლია. თუ კლიენტის მიერ ბანკიდან სამომხმარებლო სესხის სახით გატანილი თანხა 30 ათას ლარს, ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში გადასცდება, დადასტურებული შემოსავლისა და დადებითი საკრედიტო ისტორიის პარალელურად მას ბანკში უძრავი ქონების უზრუნველყოფა დასჭირდება. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელს მაქსიმუმ 180 ათასი ლარის ან მისი ეკვივალენტი სხვა ვალუტის გატანა შეუძლია. როგორც ვითიბი ბანკის" საცალო ბიზნესის დირექტორი აცხადებს, წლიური 15-პროცენტიანი განაკვეთი სამომხმარებლო სესხის ამ ტიპზეც ვრცელდება, რომლის მაქსიმალური ვადა 7 წელია. **"ამ სესხს იპოთეკის ერთადერთი თვისება ის აქვს, რომ კლიენტს უძრავი ქონება მოეთხოვება. ეს არის სამომხმარებლო მიზნობრიობით დიდი თანხის ოდენობა, როდესაც ჩვენ არ ვეკითხებით კლიენტებს, თუ სად და როგორ აპირებს მიღებული თანხის დახარჯვას,"** - ამბობს ვალერიან გაბუნია.

30 ათას ლარამდე ან სხვა ვალუტაში მისი ეკვივალენტის შემთხვევაში სამომხმარებლო სესხის გატანას ვითიბი ბანკის" კლიენტი განაცხადის გაკეთებიდან ნახევარ საათში შეძლებს. თუ თანხის მოცულობა 30 ათას ლარს გადასცდება, მაშინ მომხმარებელს ყველა პირობის დაკმაყოფილების შემდეგ ბანკი თანხას ერთ სამუშაო დღეში დაუმტკიცებს.

რეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა დაიკავა - 4 თვით, 2004 წლის მარტამდე. 2007 წლიდან ის შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან არსებული "შავი ზღვის კვლევების საერთაშორისო ცენტრის" (ICBSS) გენერალური დირექტორის მოადგილე იყო, თუმცა 2010 წლის ბოლოს საქართველოს საგარეო უწყებამ ამ პოსტზე მის დატოვებას მხარდაჭერა არ გამოუცხადა. გავრცელებული ინფორმაციით, მიზეზი გახდა ის, რომ აღნიშნულ პოსტზე ჯაფარიძის კანდიდატურას, საბჭოს სხვა წევრების გარდა, მხარს უჭერდა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი. 2011 წლის დასაწყისში საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჯაფარიძეს დიპლომატიური პასპორტიც ჩამოართვა. არის ქართული ოცნების" საგარეო პოლიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელი.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ირაკლი სესიაშვილი

დაიბადა 1974 წლის 11 იანვარს თბილისში. არის უსაფრთხოების პოლიტიკის და სამხედრო ექსპერტი. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სწავლობდა ჰამბურგში და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. მუშაობდა სახალხო დამცველის აპარატში სოზარ სუბარის პერიოდში სამხედრო ომბუდსმენად. შემდგომში, კონფლიქტი მოუვიდა შსს-ს ყოფილ მინისტრ (იმდროინდელ ომბუდსმენის მოადგილესთან) ბაჩო ახალაიასთან და სესიაშვილმა სახალხო დამცველის აპარატი დატოვა. მუშაობდა ასოციაციაში - "სამართალი და თავისუფლება"

გიგლა აგულაშვილი

"რესპუბლიკური პარტიის" ყოფილი აღმასრულებელი მდივანის გიგლა აგულაშვილი თავის დროზე გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამსახურის "ვაჟნიაკი" იყო, შემდეგ უფროსის მოადგილე; ხელმძღვანელობდა 29 აგვისტოსა და 9 თებერვლის ტერაქტების და სხვა არაერთი გახმაურებული საქმეების საგამოძიებო ჯგუფებს. გიგლა აგულაშვილი იყო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორი, კახეთის სამხარეო პროკურორი, საქართველოს სააღსრულებლო დეპარტამენტის თავმჯდომარე და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი. არის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და იყო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე. გიგლა აგულაშვილი, როგორც სისხლის სისხლის სამართლის ექსპერტი იმ ჯგუფის წევრიც იყო, რომელმაც 2009 წელს მიღებული სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის შექმნაზე იმუშავა.

ირინა იმერლიშვილი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თანამდებობაზე ხათუნა გოგორიშვილს "რესპუბლიკური პარტიის" წევრი ირინა იმერლიშვილი შეცვლის. ირინა იმერლიშვილი პოლიტიკაში ზურაბ ჟვანიამ მოიყვანა. მიხეილ სააკაშვილის იუსტიციის მინისტრად მუშაობისას ის მისი მოადგილე იყო. მინისტრის მოადგილის პოსტზე მან რამდენიმე წელიწადი იმუშავა, საიდანაც არასამთავრობო ორგანიზაციაში განაგრძო საქმიანობა, შემდეგ კი "რესპუბლიკურ პარტიაში".

ეკა ბესელია

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარედ წარდგენილი ეკა ბესელია წლების მანძილზე არაერთ გახმაურებულ საქმეში ფიგურირებდა, როგორც ადვოკატი. ამასთან, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, "ქურდული სამყაროს" წევრების ოფიციალურ დამცველადაც მოიხსენიებდნენ.

პოლიტიკურ-ადვოკატური მოღვაწეობის პიკს მან იმ დროს მიაღწია, როდესაც საზოგადოებას ყოფილი გენპროკურორის, შსს, თავდაცვისა და ეკონომიკის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის ინტერესების დამცველი, მოგვიანებით კი, ოქრუაშვილის პარტიის "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალური მდივანი გახდა. მონაწილეობდა გაერთიანებული ოპოზიციის ფართომაშტაბიან აქციებში. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში დეპუტატის მანდატი მოიპოვა, რომელზეც უარი პროტესტის ნიშნად თქვა.

ვიდრე ეკა ბესელია "ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი გახდებოდა და მის გუნდში მოხვდებოდა, სამოქალაქო მოძრაობა "სოლიდარობა უკანონო პატიმრების" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო.

დიმიტრი ხუნდაძე

დაიბადა 1968 წლის 30 ნოემბერს. სწავლობდა თსსუ-ს პედიატრიულ ფაკულტეტზე, საქართველოს სახელმწიფო ოტორინოლარინგოლოგიის კათედრის ორდინატურასა და ამავე აკადემიის ასპირანტურაზე. წლების მანძილზე იყო მცხეთის პოლიკლინიკის ოტორინოლარინგოლოგი, მუშაობდა სხვადასხვა საავადმყოფოებსა და სამედიცინო დაწესებულებებში.

2012 წლის საპარლამეტო არჩევნებში კენჭს იყრიდა კოალიცია ქართული ოცნების მაჟორიტარ კანდიდატად მცხეთის საარჩევნო ოლქში.

ვახტანგ ხმალაძე

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატს, დიდუბის რაიონში მაჟორიტარულ არჩევნებში კოალიცია "ქართული ოცნების" გამარჯვებულ, პროფესიით იურისტ ვახტანგ ხმალაძეს პარლამენტში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. ხმალაძე 1999-2004 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი და ამავდროულად, საგარეო ურთიერთობათა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების წევრი იყო. ეკავა ევროკავშირისა და საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის თანათავმჯდომარის პოსტი. არის მრავალი კანონპროექტის ავტორი და თანაავტორი. დღემდე არის შპს "თბილისის საარბიტრაჟო პალატის" პარტნიორი და არბიტრი. არის თბილისის ეკონომიკისა და სამართლის აკადემიის ასოცირებული პროფესორი. იყო საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრი. წლების წინ პარლამენტში იყო ფრაქცია "რესპუბლიკელების" თავმჯდომარე. მანამდე კი, 1991-92 წლებში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პოსტიც ეკავა და გარკვეული პერიოდი თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებდა. 2004-2006 წლებში იყო პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ექსპერტთა საბჭოს წევრი.

იყო ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" აღმასრულებელი საბჭოს წევრიც. წლების განმავლობაში "რესპუბლიკური პარტიის" წევრია. არის მრავალრიცხოვანი სტატიებისა და კვლევების ავტორი სამართლებრივ სფეროში.

ერეკლე ტრიპოლსკი

დაიბადა 1951 წლის 24 სექტემბერს. სწავლობდა ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში, ინგლისური ენის ფაკულტეტზე, ასევე თეატრალური ინსტიტუტის კინო-სარეჟისორო ფაკულტეტზე. მუშაობდა თსუ-ს კინო-ტელე ლაბორატორიის რეჟისორად. იყო კინოსტუდია "ქართული ფილმის" რეჟისორი. სხვადასხვა დროს ტრიპოლსკი მუშაობდა ტელეკომპანია "მეცხრე არხის" გენერალური დირექტორის, ტელეკომპანია "მზის" ახალი პროგრამების მიმართულების ხელმძღვანელის, "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობებზე. მან "საზოგადოებრივი მაუწყებელი" 2008 წლის მაისში დატოვა და განაცხადა, რომ "საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ ასრულებს საზოგადოების დაკვეთას". ერეკლე ტრიპოლსკი ასევე იყო სამხატვრო ხელმძღვანელი ტელეკომპანია "ერთსულოვნებაზე". მან დააფუძნა სტუდია "მარაო" და დღემდე მისი ხელმძღვანელია. გადაღებული აქვს დოკუმენტური და მხატვრული ფილმები.

ჰყავს მეუღლე ქეთევან ნადირაძე და ერთი შვილი.



ივანე კიღურაძე

აკადემიკოსი, მათემატიკოსი. დაიბადა 1937 წლის 12 იანვარს, ჩოხატაურში. დაამთავრა თსუ-ს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, სადაც 2006 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. 1993 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი. ამჟამად არის ამავე ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი და დიფერენციალური განტოლებების განყოფილების გამგე. 1993 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს იყო ცესკო-ს თავმჯდომარე.

ვიქტორ დოლიძე

თბილისის საკრებულოს წევრი საარჩევნო ბლოკიდან "ალიანსი საქართველოსთვის". პარტია "თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი. დაიბადა 1973 წლის 4 ივლისს. დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლის სპეციალობით. ასევე სწავლობდა ჯორჯ მარშალის ევროპის უსაფრთხოების სწავლების ცენტრში, შვედეთის ეროვნული თავდაცვის კოლეჯში, ნატო-ს თავდაცვის კოლეჯში (რომი, იტალია) და თავდაცვის რესურსების მართვის ინსტიტუტში (მონტერეი, კალიფორნია, აშშ).

2005-2009 წლებში იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიისა და უნგრეთის რესპუბლიკებში, ასევე საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ეუთო-სა და ვენაში (ავსტრია) განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. მანამდე, ერთი წლის მანძილზე, მუშაობდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს საერთაშორისო უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე. 2001-2004 წლებში იყო ნატო-ში საქართველოს მისიის მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში (ბრიუსელი, ბელგიის სამეფო). გარდა ამისა, 2000-2001 წლებში მუშაობდა ბელგიისა და ნიდერლანდების სამეფოებსა და ლუქსემბურგის საჰერცოგოში საქართველოს საელჩოს მრჩეველად. იყო საქართველოს მისიის წევრი ევროსაბჭოსა და ნატო-ში. ეკავა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსის და საქართველოს საგარეო სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ნატო-ს სამმართველოს უფროსის მოადგილის პოსტები.

ჩართული იყო ეუთო-ს უსაფრთხოების კომიტეტის საქმიანობაში, ხელმძღვანელობდა ეუთო-ში პოლიციის საკითხების მიმართულებას.

ნოდარ ხადური

ეკონომისტი, 2011 წლამდე იყო თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი, მაკროეკონომიკის მიმართულებით. ასევე, იყო ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ზეინკლად, ტექნიკურ კონტროლიორად, ეკონომიკის მინისტრის თანაშემწედ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში აპარატის უფროსად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო-საფინანსო ადმინისტრაციის უფროსად. 2003 წლამდე ეკონომიკის სამინისტროში ეკავა გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის აპარატის უფროსის პოსტი, 2003 წლის ივნისიდან 2004 წლის აპრილამდე იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე. ამავდროულად, ეკავა საპარლამენტო მდივნის თანამდებობაც. 2004 წლის ივნისიდან 2008 წლის ბოლომდე იყო გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) კონსულტანტი.

ასოცირებული იყო ნინო ბურჯანაძის პარტიასთან - "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო".

გუბაზ სანიკიძე

დაიბადა 1967 წლის 2 თებერვალს, ქუთაისში. დაამთავრა უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. იყო დამასკოს უნივერსიტეტის სტაჟიორი. მუშაობდა თსუ-ს აზია-აფრიკის ხალხთა ისტორიისა და ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრებზე. პოლიტიკაში ჩაერთო 1990 წლიდან, იყო ქართველ "ტრადიციონალისტთა" კავშირის წევრი, 1995 წლიდან კი - ამავე პარტიის თავმჯდომარის მოადგილე. 1990 წელს აირჩიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად ამბროლაურის საარჩევნო ოლქიდან. 1999-2003 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია "ტრადიციონალისტთა" თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ ფრაქციის თავმჯდომარე. 2006 წლიდან არის პოლიტიკური გაერთიანება "ეროვნული ფორუმის" დამფუძნებელი, თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე და იდეოლოგიური მდივანი. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიციამ "ქართულმა ოცნებამ" ქუთაისის მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატად წარადგინა.

ჰყავს მეუღლე ირმა სანიკიძე (შუბლაძე) და ორი შვილი.

გია ცაგარეიშვილი

გია ცაგარეიშვილი სპეციალობით სამართალმცოდნეა. ის ამჟამად მოქმედი პარლამენტის წევრია გაერთიანებული ოპოზიციის პარტიული სიით ("ეროვნული საბჭო", "მემარჯვენეები"), ასევე ფრაქციის "ერთობა სამართლიანობისთვის" მდივანი.

1995 წელს ცაგარეიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროში განყოფილების უფროსად დაინიშნა, სადაც რამდენიმე თვეს მუშაობდა. 1999 წლიდან 2004 წლამდე იგი სააქციო საზოგადოება "ყაზბეგის" იურიდიული სამსახურის უფროსი იყო. 2004-დან 2008 წლამდე - საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი, 2008 წლიდან კი - საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი.

ლერი ხაბელოვი

ქართველი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი. დაიბადა 1964 წელს. დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი და თსუ. არის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის მსოფლიოს ხუთგზის (1985, 1987, 1990, 1991, 1993) ჩემპიონი და ევროპის ოთხგზის (1985, 1987, 1988, 1992) ჩემპიონი. ლერი ხაბელოვი 1988 წელს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი გახდა, 1992 წელს კი - ოლიმპიური ჩემპიონი. ხაბელოვი იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, 1998-2004 წლებში - სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე, ხოლო 2004-2008 წლებში - ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი. მან რამდენიმე წლის წინათ საქართველო დატოვა და საცხოვრებლად ვლადიკავკაზში გადავიდა. ოსურ მედიასთან საუბრისას ის აცხადებდა, რომ ქვეყნიდან მიხეილ სააკაშვილმა გააძევა და მისი უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.

არის დაოჯახებული, ჰყავს 5 შვილი. არის ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენისა და ღირსების ორდენის კავალერი.

2012 წელს ლერი ხაბელოვი კოალიციამ "ქართულმა ოცნებამ" ქარელის ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინა.

რომნი ობამას საგარეო პოლიტიკას აკრიტიკებს

პირველი გვერდიდან



მან შეხვედრაზე განაცხადა, რომ მისი გაპრეზინდეტების შემთხვევაში ის ირანს ქვეყნის ბირთვული პროგრამის საკითხზე ულტიმატუმს წაუყენებს. რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა თეთრ სახლს სირიელი ამბოხებულებისთვის იარაღის მიწოდების დაწყებისკენაც მოუწოდა.

ამომრჩეველთა სოციოლოგიური გამოკითხვები მიუთითებენ, რომ არჩევნებამდე ერთი თვით ადრე პრეზიდენტ ობამას, საგარეო საკითხებში, მხარს უჭერს ამერიკელების უმრავლესობა. თუმცა არის სხვა გამოკვლევებიც, რომელშიც უკვე რომნიმ გაუსწრო მოქმედ პრეზიდენტს.

რომნის გამოსვლაში დიდი ნაწილი ეძღვნებოდა ახლო აღმოსავლეთის საკითხს, თუმცა მან რუსეთთან ურთიერთობებზეც ილაპარაკა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაზე. მან პირობა დადო, რომ მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ამერიკას "ეფექტური რაკეტსაწინააღდემგო სისტემით" დაიცავს და დაამატა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ვლადიმერ პუტინი ვერავითარ მოქნილობას ვერ დაინახავს. "მე ავაშენებ ეფექტურ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას, და არავითარი მოქნილობა ვლადიმერ პუტინთან საუბრისას არ იქნება," - განაცხადა მან. ეს იყო მინიშნება ბარაკ ობამას მხრიდან დადებულ პირობაზე, რომელმაც განაცხადა, რომ არჩევნების შემდეგ გამოიჩენდა მოქნილობას ამ საკითხში. ასეთი გაუფრთხილებელი განცხადება გააკეთა ობამამ სეულში, ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე, როდესაც კერძო საუბრის დროს რუსეთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს უთხრა, რომ მზად არ არის, წინასაარჩევნოდ განიხილოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის საკითხი. "არჩევნების შემდეგ მე უფრო მოქნილი ვიქნები" - თქვა ობამამ. ამ სიტყვებზე მედვედევმა უპასუხა: "გავიგე. გადავცემ ვლადიმერს". მათ არ იცოდნენ, რომ მიკროფონები უკვე ჩართული იყო. რომნიმ და რესპუბლიკელებმა ობამა ამისთვის მაშინაც გააკრიტიკეს, და ახლაც მოხერხებულ დროს გაუხსენეს დაშვებული შეცდომა.

რომნი მუდმივად აკრიტიკებდა ამჟამინდელ პრეზიდენტს მისი საგარეო პოლიტიკის გამო, რომელიც, მისი ზრით, უარყოფითად მოქმედებს აშშ-ს პრესტიჟზე. მისი განცხადებით, ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის რისკი გაცილებით უფრო დიდია ახლა, ვიდრე ეს ოთხი წლის წინ იყო. ის მიიჩნევს, რომ აშშ-ს დიპლომატიურ წარმომადგენლებზე თავდასხმა შემთხვევითობა არ იყო. "ეს არის უფრო ზოგადი პროცესების გამოხატულება, რომელიც ვითარდება მთელ ახლო აღმოსავლეთში და რომელიც ყველაზე რადიკალურ ისტორიულ ცვლილებებს გადის ბოლო ასწლეულში," - განაცხადა მიტ რომნიმ.

როგორც ცნობილია, ავღანეთიდან ნატო-ს ჯარების გამოყვანის პროცესი 2014 წლისთვის უნდა დასრულდეს, თუმცა, რომნის განცხადებით, მისი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ეს გრაფიკი გადაიხედება.

ორშაბათს მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ აშშ-ს ბენგაზაში მოკლული ელჩი სტივენსი მოითხოვდა, მისთვის გაძლიერებული დაცვა გამოეყოთ, მაგრამ მას თანხების უკმარისობის გამო უარი უთხრეს. თუმცა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, ლიბიაში აშშ-ს საელჩოს უსაფრთხოების სამსახურს ასეთი თხოვნით მათთვის არ მიუმართავს.

რომნის განცხადებით, აშშ კარგავს ისტორიულ შანსს, რომ შეიძინოს ახალი მეგობრები ახლო აღმოსავლეთში, რომლებიც ამერიკის ღირებულელებს გაიზიარებენ. მისი სიტყვებით, ამ რეგიონში ბევრი საჭიროებს ამერიკის დახმარებას და მის მიერ მსოფლიო ლიდერის ფუნქციების შესრულებას. მან ასევე დაადანაშაულა ობამა, რომ იგი ყურადღებას არ აქცევს ისრაელს და ახალისებს ამერიკის მტრებს, განსაკუთრებით კი, ირანს.

სირიაზე საუბრის დროს რომნიმ პირობა დადო, რომ მისი ადმინისტრაცია შეეცდება, ამბოხებულებს შორის აღმოაჩინოს ის ადამიანები, რომლებიც ამერიკელების ფასეულობებს გაიზიარებენ; ასევე, მოაგვარებს იარაღის მიწოდების საკითხსაც, რაც, მისი აზრით, აუცილებელია ასადის ტანკებთან, ვერტმფრენებთან და თვითმფრინავებთან საბრძოლველად.

რომნი აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტის შემცირების წინააღმდეგაც გამოვიდა და პირობა დადო, რომ საბრძოლო ხომალდების მშენებლობას წელიწადში 15-მდე გაზრდის, მათ შორის სამი წყალქვეშა ნავი იქნება.

16 და 22 ოქტომბერს რომნი და ობამა კიდევ ორ წინასაარჩევნო ტელედებატებს გამართავენ. ერთ-ერთი მათგანის ძირითადი თემა აშშ-ს საგარეო პოლიტიკა იქნება.

ბიზნესი

ევროკავშირის ქვეყნებს ბიუჯეტის ორი ვარიანტი სჭირდებათ

თინა შავაძე

გრძელვადიან პერსპექტივაში, ევროკავშირის ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ორი დამოუკიდებელი ბიუჯეტი - პირველი ევროზონის სახელმწიფოებისთვის, მეორე - ევროკავშირის დანარჩენი წევრებისთვის.

ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა მას შემდეგ განაცხდა, რაც ევროკავშირში მომდევნო 2014-2020 წლების ბიუჯეტის შესახებ დისკუსიები დაიწყო, - იუწყება BBC News.

კამერონის თქმით, ევროზონის წევრებს ცალკე ბიუჯეტი სჭირდებათ, რადგან ამით ისინი კრიზისის პირობებში ერთმანეთს უფრო მიზნობრივ მხარდაჭერას აღმოუჩენენ. დანარჩენი ევროკავშირის ქვეყნების ბიუჯეტი შეიძლება, "გაფართოვდეს".

როგორც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, "თუ საჭირო გახდება", ევროკავშირის ახალი ბიუჯეტს ვეტოს დაადებს. იგი გასულ წელს დაუპირისპირდა დიდ ბრიტანეთი ახალ სამოკავშირო ხელშეკრულების დამტკიცებას, რომელიც კავშირის ქვეყნების საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ უფრო მკაცრ მოთხოვნებს ადგენდა.

კამერუნმა ასევე განაცხადა, რომ მიესალმება რეფერენდუმის იდეას - ბრიტანეთის "განახლებული როლი" ევროკავშირში და დასძინა, რომ ქვეყნის მიერ უბრალოდ კავშირის დატოვება გამოსვალი არ არის, ბევრ ბრიტანელს ქვეყნის კავშირში დატოვება სურს, მაგრამ იმ როლით არა, რომელსაც დღეს დიდი ბრიტანეთი თამაშობს.

ჩინეთის იაფი მუშახელი თვითმკვლელობიდან გაფიცვაზე გადავიდა

თინა შავაძე

ცუდი შრომითი პირობების გამო ტაივანური კომპანია Foxconn-ი, რომელიც Apple-ის პარტნიორია, მასთან ერთად მრავალ სკანდალშია გახვეული.

ჩინეთში, ძენგძოუს (Zhengzhou) პროვინციაში მდებარე ქარხანა Foxconn-ში, სადაც iPhone 5-ს აწყობენ, თანამშრომლები გაიფიცნენ, - იუწყება "როიტერი" უფლებადამცველ ორგანიზაცია China Labor Watch-ზე დაყრდნობით.

ადამიანის უფლებადამცველთა ინფორმაციით, საპროტესტო აქცია გასული კვირის ბოლოს დაიწყო და მასში, დაახლოებით, 4 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. თანამშრომელთა უკმაყოფილება გამოიწვია ახალმა მოთხოვნებმა, რომლებიც სმარტფონის აწყობის ხარისხის გაუმჯობესებასა და სადღესასწაულო დღეებში მუშაობას ითვალისწინებს.

China Labor Watch-ის წარმომადგენელებმა განაცხადეს, რომ გაფიცვის გამო Foxconn-ის ქარხნაში მუშაობა, ფაქტობრივად, გაჩერდა. როდემდე გაგრძელდება საპროტესტო აქცია, ჯერჯერობით უცნობია.

თავის მხრივ, Foxconn-ის ხელმძღვანელობამ არც დაადასტურა და არც უარყო ინფორმაცია ძენგძოუს ქარხანაში გაფიცვის შესახებ, თუმცა პირობა დადო, რომ ოფიციალურ განცხადებას უახლოეს დღეებში გააკეთებს.

კომენტარზე Apple-მაც უარი განაცხადა. ქარხანას 2012 წლის მარტში, ჩინეთში ვიზიტის დროს, Apple აღმასრულებელი დირექტორი ტიმ კუკი ეწვია.

ტაივანური კომპანია Foxconn-ი კომპანიების: Apple-ის, Hewlett-Packard-ის, Nokia-ს, Sony-ის პროდუქტების ძირითადი მწარმოებელია. Foxconn-ში დასაქმებულია, დაახლოებით, 1,2 მილიონი ადამიანი, მათგან მილიონი ჩინეთის ქარხნებში მუშაობს.

Foxconn-ის მენეჯმენტს საწარმოებში ცუდი სამუშაო პირობებისთვის ხშირად აკრიტიკებდნენ. 2010 წელს, გახშირებული თვითმკვლელობების გამო, კომპანია იძულებული გახდა, ძენგძოუს ქარხნის მუშახელისთვის ხელფასი გაეზარდა.

2012 წლის დასაწყისში Foxconn-მა ხელფასების ზრდისა და უკეთესი სამუშაო პირობების შექმნის შესახებ მორიგი განაცხადი გააკეთა. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომპანიამ ეს ნაბიჯი თანამშრომლების გახშირებული თვითმკვლელობების გამო გადადგა.

სექტემბერის ბოლოს ჩინეთში Foxconn-ის ქარხნა იძულებული გახდა, ქარხნის საერთო საცხოვრებელში მომხდარი ჩხუბის გამო, რომელშიც დაახლოებით, ორი ათასი ადამიანი მონაწილობდა, დროებით შეეჩერებინა მუშაობა.

გავლენიანი გამოცემა The New York Times-ი სექტემბერში წერდა, რომ Foxconn-ი აიძულებდა ადგილობრივი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტებს, Iphone 5-ის მოწყობილობის ნაკრებზე ქარხნაში უფასოდ ემუშავათ.

Foxconn-ში სტაჟიორების უფასო შრომის გამოყენება ცნობილი ფაქტია, მაგრამ კომპანიამ ყოველთვის აცხადებდა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ, სამუშაო ნებისმიერ დროს დატოვონ. თუმცა, სტაჟიორები თავად აცხადებენ, რომ ნების საწინააღმდეგოდ მუშაობას მასწავლებლები აიძულებენ.

მაშინ Foxconn-მა აღიარა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით 1,2 მილიონი მუშახელიდან 32 000 ადამიანი "უფასო" სტუდენტია. როგორც მედია იტყობინება, Iphone 5-ის ნაკრებზე კვირაობით მომუშავე 87 ადამიანიდან 10 სტაჟიორია.

ავიაიერიშები და ლოკალური შეტაკებები სირიაში

ხათუნა გაბიევი

სირიის სიდიდით მეორე ქალაქში კვლავ ტყვიების ზუზუნი ისმის. ქვეყნის კომერციულ ცენტრში, ალეპოში რეგულარულ არმიას იერიში ამბოხებულებზე მიაქვს. გააფთრებული ბრძოლებია ჯისრ-სახურის ესტაკადებზე, რომლის მეშვეობითაც ოპოზიცია შეიარაღებული ფორმირებების გადასროლას ეწეოდა ახლომდებარე სოფლებიდან ქალაქის მიმართულებით.

სახელმწიფო საინფორმაციო საგენტო "სანა" იშარათის კვარტალში ტერორისტთა ჯგუფის განადგურებაზეც იუწყება. როგორც ცნობილია, ასადის რეჟიმს დაქვემდებარებული მედიასაშუალებები ამბოხებულებს ტერორისტებად მოიხსენიებენ. თუმცა "სირიის თავისუფალი არმია" ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ მათ რიგებში ტერორისტები არ არიან. ამბოხებულებმა, თავის მხრივ, სოციალური ქსელებით გაავრცელეს ვიდეომასალა, სადაც ასადის ავიაციის ვერტმფრენის ჰაერში აფეთქების კადრები იყო ასახული. ასადის მედიის ცნობებით, შეტაკებების დროს ლიკვიდირებულთა შორის 4 დაქირავებული პირიცაა, რომლებიც წარმოშობით თურქეთიდან არიან. ასევე განადგურებულია ოპოზიციის ჯავშანტექნიკის ათობით ერთეული. რაც შეეხება დაქირავებულთა შორის თურქი ეროვნების მოქალაქეების დასახელებას, ეს ოფიციალურ ანკარასთან ისედაც დაძაბული ურთიერთობებისთვის კიდევ დამატებითი გაღიზიანების ფაქტორია.

გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ალეპოს მახლობლად იარაღით სავსე ყუთები აღმოაჩინეს. სამთავრობო მედიის თანახმად, არსენალი ამბოხებულების ბაზის სიახლოვეს იპოვეს. იარაღი უკრაინული წარმოებისაა, რომელიც საუდის არაბეთისთვის იყო განკუთვნილი. არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, რომ ეს არსენალი სწორედ სირიის შეიარაღებული ოპოზიციისთვის შეიძინეს. ჯერ-ჯერობით უცნობია, როგორ აღმოჩნდა იარაღით სავსე ყუთები ალეპოში. დასავლურ მედიას ბაზის გადაღების

სირიაში აღმოჩენილი უკრაინული იარაღის ყუთი

საშუალება არ მიეცა. ყუთებს კომპანია "დასტანის" მარკა აქვთ, რომელიც სამხედრო-საზღვაო იარაღსა და სარაკეტო კომპლექსებზე მუშაობს. ამჟამად კომპანიის ექსპორტის უმთავრესი პროდუქტი კალაშნიკოვის ავტომატური იარაღის 7.62 კალიბრის მჭიდებია, რომლებიც აქტიურად გამოიყენება როგორც სირიის რეგულარულ, ასევე "თავისუფალ" არმიაში. გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარისგან თავს იკავებს უკრაინული მხარე. კომპანიაში მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ მათ უშუალოდ არავითარი კავშირი არ აქვთ საუდის არაბეთთან.

მანამდე, ვიდრე ოფიციალურად გაირკვევა ალეპოს მახლობლად უკრაინული წარმოების იარაღის აღმოჩენის გზები, ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ სპარსეთის ყურედან მავანნი აქტიურად ეხმარებიან სირიელ ამბოხებულებს ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თავად სირიის ოპოზიციაში დიდი ხანია, არ მალავენ იმას, რომ დახმარებას საუდის არაბეთიდან და ყატარიდან იღებენ. გაზეთ "ნიუ-იორკ ტაიმსის" თანახმად, აღნიშნული ქვეყნების მთავრობები მართლაც აწვდიან ამბოხებულებს ცეცხლსასროლ იარაღს, მაგრამ ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ ისეთი ტიპის იარაღის მიწოდებისგან, როგორიცაა რეაქტიული ნაღმმტყორცნი.

რეგულირების პირი არ უჩანს თურქეთთან სასაზღვრო ტერიტორიებზე ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გამწვავებულ მდგომარეობას. თურქეთი სირიის მხრიდან ყოველდღიურად ნასროლ ჭურვებს საარტილერიო იერიშით პასუხობს. განსაკუთრებულად დაძაბული მდგომარეობაა აღჩაყალის დასახლებაში, სადაც სამი დღის წინ სირიის მხრიდან გახსნილ ცეცხლს თურქეთის 5 მოქალაქე ემსხვერპლა. ოფიციალურად ომი არ გამოცხადებულა, მაგრამ ტრანსსასაზღვრო ტერიტორიებზე ურთიერთთავდასხმებმა უკვე პერმანენტული ხასიათი მიიღო. ტელეარხ "ალ-არაბიას" ცნობებით, რომელიც, თავის მხრივ, დასავლელ სამხედრო-დიპლომატიურ წყაროებს ეყრდნობა, სირიის ხელმძღვანელობამ გასცა ბრძანება, ჯარმა საზღვრიდან 10 კილომეტრის მანძილზე დაიხიოს უკან. ეს ოფიციალური ანკარას დაჟინებული თხოვნის პასუხად გაკეთდა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის პარლამენტს დამტკიცებული აქვს არმისთვის მანდატი საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ოპერაციების დაწყების თაობაზე, ანკარა დამასკოსგან სასაზღვრო რაიონებში "უსაფრთხოების ზონის" შექმნას მაინც ითხოვს. რაც შეეხება ოფიციალური დამასკოს პასუხს, ამ ინფორმაციის დასტურად განცხადება ჯერ არ გაკეთებულა, მაგრამ არმიამ ზემოაღნიშნული მანძილით უკან მაინც დაიხია. თუმცა, ყველგან არა.

არმიის საგანგებო ქვედანაყოფი ქალაქ ელ-ყუსეირის რაიონში ოპოზიციონერთა სამხედრო ბაზის ლიკვიდაციისთვის ემზადება. აღნიშნული ბაზა ჰომსიდან 30 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს და ლიბანის საზღვრის სიახლოვესაა. "სირიის თავისუფალი არმიის" ერთ-ერთი მეთაური აბდელ რაზაკ თლასი კი აცხადებს, რომ ყველა ამბოხებული ძალა გაერთიანებულია ქალაქ ჰომსის სიახლოვეს და კონტრშეტევისთვის ისინიც ემზადებიან.

ქვეყანაში ქაოსის პირობებში სატელევიზიო კადრებში რეჟიმის ხელმძღვანელი ისე გამოჩნდა, თითქოს სახელმწიფოში სამოქალაქო ომი არ იყოს გაჩაღებული. ბაშარ ალ-ასადმა ყასიუნის ბორცვზე გმირთა მონუმენტთან გვირგვინი მიიტანა. საზეიმო ცერემონიას, რომელიც ისრაელთან სირიის ოქტომბრის ომის 39 წლისთავს ეხებოდა, პრეზიდენტთან ერთად მთავრობის წევრები და საზოგადო მოღვაწეებიც დაესწრნენ.

მანამდე, ვიდრე სირიაში რეგულარული და "თავისუფალი" არმიების შეტაკებები გრძელდება, ვითარება თურქეთის სასაზღვრო რაიონებშიც იძაბება. დასავლური მედია ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სირიის კრიზისზე რუსულ მხარესთან ერთად მსჯელობას ერაყის ხელისუფლება აპირებს. "ბი-ბი-სის" ინფორმაციით, დამასკოს კრიზისის რეგულირების გზების მოძიებას მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩასული პრემიერ-მინისტრი ნური მალიკი აპირებს. თუმცა ოფიციალური დადასტურება ამ ცნობებზე ჯერ არც მოსკოვის და არც ბაღდადის მხრიდან არ ყოფილა.

რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში ისევ არმიას და ავიაციას იყენებს

პირველი გვერდიდან

ეს გადაწყვეტილება ეროვნულმა ანტიტერორისტულმა კომიტეტმა და ფედერალურმა ოპერატიულმა შტაბმა მიიღეს. გუშინ დაღესტანში ავიაციაც გამოიყენეს. წინა კვირის ბოლოს უკვე იყო მსხვერპლი სამხედროთა შორის. მიმომხილველები ჯერ გადაჭრით ვერ ამბობენ, რატომ გახდა საქმეში არმიის ჩართვა აუცილებელი.

მსხვერპლი მოჰყვა ოპერაციას, რომელშიც არმიის შენაერთები მონაწილეობდნენ დაღესტნის ქალაქ ბუინაკსკთან. მათი ამოცანა იყო მებრძოლთა ჯგუფის ბლოკირება და განადგურება. ოთხი სამხედრო დაიღუპა, აგრეთვე, ინგუშეთში ჩატარებული ოპერაციის დროს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით (გამოცემები ინფორმაციის წყაროს ვინაობას არ ასახელებენ), მსხვერპლი გამოიწვია თავდაცვის სამინისტროს შენაერთების "მოუხეშაობამ". ისინი მოქმედებდნენ შაბლონურად, არ გაითვალისწინეს თანამედროვე ეტაპზე კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატყარების სპეციფიკა.

ამ ეტაპისთვის მიღებულია გადაწყვეტილება, რომ სამხედროები მანევრებს დამოუკიდებლად დაგეგმავენ, მაგრამ შსს შინაგან ჯარებთან და ფედერალური უშიშროების სამსახურის პოლიციურ შენაერთებთან მჭიდრო კავშირში. თუმცა მედიასთან საუბრისას ინფორმაციის წყარომ ძალოვანი სტრუქტურებიდან ივარაუდა, რომ წარუმატებლად ჩატარებული ოპერაციის შემდეგ გენერალური შტაბი დასკვნებს გამოიტანს და მომავალში სამხედრო ოპერაციებისთვის უკეთესად მოემზადება.

გუშინ მახაჩყალის მოსახლეობა ზედიზედ ორმა ძლიერმა აფეთქებამ გააღვიძა. დილის შვიდ საათზე, ხუთწუთიანი ინტერვალით ორი ბომბი აფეთქდა. მოგვიანებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოსახლეობა დაამშვიდა, რომ ეს ტერაქტი არ ყოფილა და სამხედროები ქალაქის მახლობლად, ტყის მთიან მასივში "ბოევიკთა" ჯგუფის განადგურებას ცდილობდნენ. მათი ცნობით, ავიადარტყმების ადგილას დასახლებული პუნქტი არ არის. დაშავებულების შესახებ ცნობები არ გავრცელებულა. წინა დღეს სროლა იყო ხასავიურტის რაიონის სოფელ ენდირეისთან. რომელშიც "სავარაუდოდ - ბოევიკი" დაიღუპა.

ჯერ კიდევ თავდაცვის სამინისტროს შენაერთების საქმეში ჩართვამდე სიტუაციაში ჩახედული ადამიანები საინფორმაციო სააგენტოებს ანვდიდნენ ინფორმაციას, რომ სამხედროების სამხრეთისკენ გადმოსროლა მოსალოდნელი იყო, რადგან ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ძალოვნები სერიოზულ დანაკარგებს განიცდიდნენ და მათი "რეზერვები იწურებოდა."

თუმცა არსებობს სხვა აზრიც. "ალფას" ვეტერანების საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსეი ფილატოვმა განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს ჩართვა საქმეში სრულიადაც არ არის გამოწვეული ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის გართულებით ან ძალების სიმცირით. ის აცხადებს, რომ სამხედროების უკეთ მოსამზადებლად საჭიროა პერიოდულად (სასურველია, მუდმივად) მათი მონაწილეობა საბრძოლო ოპერაციებში. მანვე თქვა, რომ თუნდაც არსებობდეს პრობლემები სამხედროთა მომზადებაში, ისინი უნდა გამოსწორდეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მსხვერპლი აღარ იქნება. მისი სიტყვებით, ტერორიზმთან ნამდვილი ომი მიმდინარეობს და ეს თავისთავად გულისხმობს მსხვერპლს ორივე მხრიდან.

ჩეჩნეთის სამხედრო კომენდანტის ყოფილმა მოადგილემ ალექსანდრ გლუშჩენკომ (მანაც ექსპერტის რანგში) განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს შენაერთების კავკასიაში დაბრუნება ნიშნავს აღიარებას - რეგიონში სოციალურ-პოლიტიკური რეფორმები ჩავარდა. მისი აზრით, ანტიტერორისტულ ოპერაციებში ჯარის გამოყენება, რომელიც მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებებისთვის არის შექმნილი, დაახლოებით იგივეა, რომ "კამაზით" პიცის მიტანა დაიწყონ კლიენტებთან. "ვერ ვხვდები, რამდენჯერ უნდა წაიტეხონ ცხვირი, რომ მიხვდნენ... იქ საჭიროა დაზვერვითი და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, ამისთვის კი შინაგანი ჯარებია მომზადებული." გლუშჩენკოს აზრით, კავკასიაში არმიის ამოქმედება შეიძლება ვიღაცისთვის აღმოჩნდეს მომგებიანი ფინანსური თვალსაზრისით. მსხვილი შენაერთების ნებისმიერი საბრძოლო გამოყენება დიდი ფულის ხარჯვასთან არის დაკავშირებული, ამ თანხის ნაწილი კი შეიძლება მიტაცებულ იქნას. თუმცა იქვე დასძინა, რომ ეს მისი პირადი შეფასებაა.

კონტრტერორისტული ოპერაციის რეჟიმი ჩეჩნეთში შემოიღეს 1999 წელს, ბასაევის და ხატაბის დაჯგუფებების რეიდების სერიის შემდეგ დაღესტანში. შემდეგ ეს რეჟიმი ნაწილობრივ გაავრცელეს ჩრდილოეთ კავკასიის დანარჩენ ავტონომიურ რესპუბლიკებზეც. მაშინ ჩაერთო საქმეში არმია. რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით, ჩრდილოეთ კავკასიაში შეიქმნა ჯარების გაერთიანებული დაჯგუფება. თავდაცვის სამინისტროს შენაერთები კავკასიიდან დისლოკაციის ადგილებზე დააბრუნეს ძირითადად 2006 წელს, მას შემდეგ, რაც მებრძოლთა ძირითადი რაზმები დაამარცხეს. ჩეჩნეთში დაახლოებით 10 ათასი სამხედრო დარჩა (ყაზარმებში) და სიტუაციის მართვა შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.

ექსპერტებს ახლაც მიაჩნიათ, რომ "ბოევიკების" გააქტიურებასთან ბრძოლა საჭიროა არა არმიის მეშვეობით, არამედ ჰუმანიტარული მეთოდებით. გადასაჭრელია რელიგიური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები.

ICG-ი ავღანეთში არსებულ მდგომარეობას ნეგატიურად აფასებს

ავღანეთის შესახებ მომზადებულ ახალ მოხსენებაში საუბარია, რომ ქვეყნიდან ნატო-ს ძალების გაყვანას, შესაძლოა, მთავრობის ჩამოშლა და სამოქალაქო ომიც მოჰყვეს. საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი (ICG) ირწმუნება, რომ ავღანეთის პოლიცია და არმია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის გადაბარებისათვის ჯერ მზად არ არიან. დოკუმენტის თანახმად, არჩევნები, რომელიც 2014 წელს ქვეყნიდან ნატო-ს ჯარების გაყვანის შემდგომ არის დანიშნული, გაყალბდება, თუ მთავრობა მის სამართლიან ჩატარებაზე ზრუნვას ახლავე არ დაიწყებს.

ავღანეთის მთავრობამ აღნიშნულ პროგნოზს «სისულელე" უწოდა. "ჩვენი ქვეყანა 2002 წელს არ დაბადებულა. ჩვენი ისტორია 5000 წელს ითვლის. ავღანეთის პოლიცია და არმია მზადაა ქვეყნის სუვერენიტეტის დასაცავად," - საუბარია ავღანეთის მთავრობის განცხადებაში. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმაც განაცხადა, რომ ICG-ის ნეგატიურ შეფასებას არ იზიარებს.

ბრიუსელში დაფუძნებული ანალიტიკური ჯგუფის მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ 2014 წლის შემდეგ ავღანეთში შესაძლოა, "დამანგრეველი პოლიტიკური კრიზისი" დაიწყოს. 2014 წელს ქვეყანაში არჩევნებია დანიშნული და, მოხსენების მიხედვით, ეს არჩევნები შესაძლოა ისეთივე არასამართლიანი გამოდგეს, როგორიც წინა. ქვეყნის მთავრობამ კი უკვე გააკეთა განცხადება, რომ არჩევნები იქნება "თავისუფალი და სამართლიანი და საგარეო ჩარევის გარეშე ჩაივლის."

ჩრდილოეთ კორეა: ჩვენი რაკეტები აშშ-მდე მიაღწევს

გუშინ ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა, რომ ქვეყანა ფლობს რაკეტებს, რომელთაც ამერიკის კონტინენტამდე მიღწევა შეუძლიათ. სულ რაღაც ერთი დღით ადრე კი სამხრეთ კორეამ ამერიკასთან რაკეტების რადიუსის გაზრდასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ გამოაცხადა. ვაშინგტონსა და სეულს შორის დადებული შეთანხმება სამხრეთ კორეის რაკეტების მოქმედების რადიუსის 300 კმ-დან 800 კმ-მდე გაზრდას ითვალისწინებს. აღნიშნულის შესახებ სამხრეთ კორეის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველმა ჩუნ იანგ-ვუმ რეპორტიორებს ორი დღის წინ განუცხადა.

ეგვიპტის პრეზიდენტმა ათასობით დაკავებული აქტივისტი შეიწყალა

ეგვიპტის პრეზიდენტმა მოჰამედ მურსიმ ყველა ის დემონსტრანტი შეიწყალა, რომლებიც 2011 წლის დასაწყისში ანტისამთავრობო გამოსვლებისას დააპატიმრეს. "ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე მურსიმ დაწერა, რომ ის იწყალებს ყველა იმ პირს, რომლებიც "რევოლუციის მოწყობის" მხარდაჭერისათვის იყვნენ დაპატიმრებულნი. მურსის წინამორბედმა ჰოსნი მუბარაქმა დაკავებული თანამდებობა სწორედ მრავალრიცხოვანი აქციების გამო დატოვა. ამ დაპირისპირებას, რასაც ასობით ადამიანი ემსხვერპლა. პრეზიდენტის ბრძანება შეეხება როგორც იმ პატიმრებს, რომლებიც სასამართლოს ელოდებიან, ასევე მათაც, ვისაც განაჩენი უკვე გამოუტანეს. ადგილობრივი სააგენტოების ცნობით, შეწყალებულთა სახელებს სამხედრო პროკურატურა ერთი თვის განმავლობაში გამოაქვეყნებს.

საბერძნეთში მერკელის ვიზიტს აპროტესტებენ

საბერძნეთის დედაქალაქში გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის ვიზიტთან დაკავშირებით უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები მიიღეს. როგორც "ბი-ბი-სი" წერს, ქუჩებში დაახლოებით 7000 პოლიციელია გამოყვანილი. ქვეყნის პროფკავშირებმა მერკელის ვიზიტთან დაკავშირებით გაფიცვა უკვე გამოაცხადეს. როგორც ცნობილია, სწორედ გერმანიაა ქვეყნის მკაცრი ეკონომიის ზომების გაგრძელების მთავარი ინიციატორი, რომლის საფუძველზეც ქვეყანას ეკონომიკური დახმარების მორიგ პაკეტს გამოუყოფენ.

გაერომ აღიარა, რომ მოშიმშილეთა რაოდენობა გაბერილი იყო

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის სააგენტომ განაცხადა, რომ გადასინჯა მსოფლიო მასშტაბით იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ქრონიკულად შიმშილობენ. 2009 წელს გამოქვეყნებულ მოხსენებაში ეს ციფრი ერთ მილიარდს შეადგენდა, ხოლო ამჟამად 870 მილიონია. გაეროს ახალ მოხსენებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ შიმშილთან ბრძოლა მთელ მსოფლიოში ბოლო პერიოდში შენელებულია, თუმცა ბოლო ორი ათწლეულის მოშიმშილეთა რაოდენობა მცირდება.

რუსეთში UNICEF-ის პროგრამები დაიხურება

რუსეთმა გაეროს ბავშვთა ფონდს 2012 წლის 31 დეკემბრამდე მისცა დრო ქვეყანაში დარჩენილი პროექტების დასამთავრებლად. ეს გადაწყვეტილება რუსეთში მიიღეს იმ მიზეზით, რომ ეკონომიკის წინსვლის გამო რუსეთი გახდა დონორი და არა უცხოეთის დახმარების მიმღები ქვეყანა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხაზი გაუსვეს, რომ ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2009 წელს იყო მიღებული და UNICEF-იც გაფრთხილებული იყო, რომ ნელ-ნელა საკუთარი პროგრამები უნდა დაეხურა და ურთიერთობა თანასწორუფლებიან და ურთიერთხელსაყრელ, პარტნიორობის ფორმატში გადაეყვანა.

მოამზადა თამთა კახაძემ

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ

10 ოქტომბერი, 18 სთ.
ანდრონიკაშვილი ზაალი, ლიტერატურათმცოდნე, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მოხსენება: "ხალხთა სტუმართმოყვარეობა: ეთნიკური ნაციონალიზმის გენეალოგია"

17 ოქტომბერი, 18 სთ.
გიგინეიშვილი ლევანი, მედიევისტი, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მოხსენება: "სოკრატე და პოლიტიკა".

24 ოქტომბერი, 18 სთ.
ბექა მინდიაშვილი, თეოლოგი, სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი
მოხსენება: "ეკლესიის ძალაუფლება".

31 ოქტომბერი, 18 სთ.
ლევან აბაშიძე, თეოლოგი, ფიზიკოსი
მოხსენება: "ქრისტიანული სარწმუნოება და თანამედროვე მეცნიერება".

7 ნოემბერი, 18 სთ.
ჯავახია ბეჟან, მედიევისტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის სრული პროფესორი
მოხსენება: "რომის იდეა შუა საუკუნეების საქართველოში"

14 ნოემბერი, 18 სთ.
გია ნოდია, პოლიტოლოგი, ილიას უნივერსიტეტის სრული პროფესორი
მოხსენება: "სეკულარიზაცია თუ დესეკულარიზაცია: თანამედროვე ტენდენციები"

21 ნოემბერი, 18 სთ.
გაბრიელე ბრაგანტინი, მღვდელი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
მოხსენება: "მე-13 საუკუნე: ეკლესიათა გაერთიანების მცდელობა"

28 ნოემბერი, 18 სთ.
ცოფურაშვილი თამარ, ფილოსოფოსი, ასოცირებული პროფესორი, ილიას უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მოხსენება: "ქრისტიანობა, როგორც თანასწორობის რელიგია"

5 დეკემბერი, 18 სთ.
გიგა ზედანია, ფილოსოფოსი, სრული პროფესორი
ილიას უნივერსიტეტის მოდერნულობის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი
მოხსენება: "სტუმართმოყვარეობის პრაქტიკები: ფილოსოფია, რელიგია, ლიტერატურა"

12 დეკემბერი, 18 სთ.
გიორგი სანიკიძე, აღმოსავლეთმცოდნე, სრული პროფესორი
ილიას უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი
მოხსენება: "ისლამი, სეკულარიზმი და ვესტერნიზაცია"

19 დეკემბერი, 18 სთ.
თამარ პატარიძე, ასიროლოგი
ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი
მოხსენება: "სირიული ეკლესიები: ისტორიული და თანამედროვე კონსტექსტი"

26 დეკემბერი, 18 სთ.
თემურ ბუაძე, თეოლოგი
თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი
მოხსენება: "ღმერთის იდეა ანტიკურ სამყაროში"

მოდერატორი:
დავით თინიკაშვილი
ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტი

ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲔᲑᲘ - ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ

ᲑᲔᲚᲐ ᲩᲔᲙᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

"შესაძლო საფრთხე საგანძურისთვის და მისი ევაკუაცია საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების დროს"- ასეთია მუზეუმის უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტის (ICMS) 37-ე კონფერენციის თემა, რომელიც ამ დღეებში საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მიმდინარეობს.

კონფერენციის მიზანია წარმოადგინოს მსოფლიოს წარმატებული ნიმუშები და ისეთი მუზეუმების უსაფრთხოების სისტემების თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორებიცაა ბერლინის მუზეუმის კუნძული, პრაღის ეროვნული გალერეა, ჩინეთის მუზეუმი და სხვა.

კონფერენციაში მონაწილეობენ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ჩრდილოეთ ამერიკის მუზეუმების უსაფრთხოების განყოფილების დირექტორები, წამყვანი მუზეუმებისა და სხვა დაწესებულებების მენეჯერები და უსაფრთხოების სისტემაში ფართოდ აღიარებული სპეციალისტები. ფორუმის მთავარი თემაა: მუზეუმების ძირითადი საფრთხეები და რისკები, კოლექციების ევაკუაცია, თანამშრომლებისა და კოლექციების უსაფრთხოება, უსაფრთხოების პრობლემები ღია ცის ქვეშ მუზეუმებისა და არქეოლოგიურ ტერიტორიაზე.

კონფერენციის ორგანიზატორები არიან მუზეუმის უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტი (ICMS), საქართველოს ეროვნული მუზეუმი და ICOM-ის ეროვნული კომიტეტი საქართველოში.

ICMS-ის თავმჯდომარის უილემ ჰეკმანის თქმით, მუზეუმების უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტისათვის მნიშვნელოვანია, დიდმა ქვეყნებმა დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ იმ ქვეყნებს, რომლებიც ამას საჭიროებენ. ამიტომ მათ ინტერესით მიიღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის შემოთავაზება კონფერენცია საქართველოში ჩატარებულიყო. სამუშაო განრიგიც ერთობლივად დაიგეგმა. კონფერენცია ოთხდღიანია და მასში 23 ქვეყანის სპეციალიტები მონაწილეობენ. უეი ფენგი დამთვარიელებლებისათვის თვალყურის დევნების სისტემის ჩინურ მოდელზე საუბრობდა, სერჯიუ ბერკოვიჩმა ისრაელის მუზეუმის გამოცდილება წარმოადგინა მიწისძვრის, ხანძრის, წყალდიდობისა და ომის შემდგომი პირველი შვიდი დღის შემდეგ, ირინა კუზნეცოვას მოხსენების თემა კი საფრთხის შემთხვევაში ევაკუაციისათვის საჭიროებების წინასწარი შეფასება იყო. მომხსენებლები საუბრობდნენ ისეთ ევაკუაციასა და უსაფრთხოებაში დაგროვილ გამოცდილებაზე, როგორიცაა 2002 წლის დრეზდენის წყალდიდობა, ბერლინის ჰამბურგერ ბანჰოფის ხანძარი თუ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის ხანძარი 1988 წელს, რომლის დროსაც 3,5 მილიონი წიგნი განადგურდა. საფრანგეთის ინტერპოლის წარმომადგენელი სტეფან ტეფო თავისი გამოცდილებით გვირჩევს, სჯობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები რელიგიურ ადგილებში დავიცვათ, ვიდრე ისინი იქიდან გამოვიტანოთ. საქართველოში ეკლესია-მონასტრების ძარცვის ფაქტები ძალიან დაბალია, თუმცა არსებობს მეორე საფრთხე - რა დაემართებათ კულტურული მემკვიდრეობის იმ ძეგლებს, თუკი მუზეუმებიდან მათ ისევ ეკლესია-მონასტერებში გადავიტანთ? ასეთია ხატები, ხელნაწერი სახარებები და სხვა. ეს საკითხი ჟამიდანჟამზე წამოიწევს ხოლმე ქართულ საზოგადოებაში. ამ შეკითხვით მივმართეთ ICMS-ის თავმჯდომარესაც. უილემ ჰეკმანის პასუხი ასეთია: "გასულ წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ნარკობიზნესის შემდეგ ყველაზე მომგებიანი კულტურული ფასეულობებით ვაჭრობაა, ამიტომ თქვენ თუ გაიტანთ მუზეუმიდან საეკლესიო ნივთებს, მათ დიდი საფრთხის წინაშე დააყენებთ, რადგან ეკლესია გახსნილი სივრცეა და მაქსიმალური უსაფრთხოების დაცვას ვერ უზრუნველყოფთ. მსოფლიო გამოცდილებით ეს არსად არაა მიღებული. ეკლესია ღვთისმსახურების ადგილია, სამუზეუმო დაცვა იქ ვერ ხერხდება".

საქართელოს ეროვნული მუზეუმი საგანძურის დაცვას შიდა უსაფრთხოების სამსახურის სისტემით უზრუნველყოფს, რომლის თანამშრომლებსაც სპეციალური ტრეინინგი აქვთ გავლილი, როგორ მოიქცნენ ვიზიტორებთან თუ საგანგებო სიტუაციებში. რის შესახებაც ისაუბრა კონფერენციაზე ეროვნული მუზეუმის შიდა უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა დავით ჩიხლაძემ. საბედნიეროდ, ეროვნული მუზეუმის ძარცვის მცდელობა 90-იანი წლების შემდეგ საქართველოში აღარ ყოფილა, ეს ალბათ, დაცვის სისტემის დამსახურებადაც უნდა ჩაითვალოს. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შემავალ მუზეუმებში არსებობს სიგნალიზაციის სისტემა უსანქციო შეღწევა და ხანძარზე, ხოლო შიდა და გარესივრცე აღჭურვილია ვიდეოკამერებით. სიღნაღის, სვანეთის, ჯანაშიას მუზეუმსა და ეროვნულ გალერეაში დამონტაჟებულია ხანძრის ჩამქრობი სისტემები, მათ შორის გაზით ცეცხლის ჩამქრობი სისტემაც. ხოლო როდესაც სამუზეუმო კოლექცია მოგზაურობს, მის უსაფრთხოებას შსს-ს დაცვის პოლიცია უზრუნველყოფს. ნაკლებადაა დაცული ღია ცის ქვეშ მდებარე ეთნოგრაფიული მუზეუმი, ერთიანი ვიდეოსისტემა არ არსებობს, თუმცა ხანძარსანინააღმდეგო სიგნალიზაცია ცალკეულ სახლებს აქვთ.

კონფერენციაზე პრაღის ნაციონალური მუზეუმის სპეციალისტი პაველ იურასეკმა რისკის მენეჯმენტსა და უსაფრთხოების გეგმარებაზე ისაუბრა, რაც შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი ღინისძიებაა სამუზემო კოლექციების დასაცავად. ICMS-ის თავმჯდომარემ უილემ ჰეკმანმა ცალსახად აღნიშნა ამის შესახებ: "სამუზეუმო ფასეულობები მუდმივად დგას სხვადასხვაგვარი საფრთხის ქვეშ, შესაბამისად დაცვის ერთი კონკრეტული სისტემა თუ ტექნოლოგია არ არსებობს. თუ გსურთ დაიცვათ კოლექცია, ნებისმიერ დროს უნდა შეაფასოთ რისკი და გააანალიზოთ, ეს არის საფუძველთა საფუძველი. ამას აკეთებენ ჩვენი ორგანიზაციის სპეციალისტები. ამავე დროს, საქართველოსა და გერმანიაში რისკი ერთნაირი არ იქნება. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შესახებ აუგს ვერ ვიტყვით, მაგრამ არსებობს მთელი რიგი კულტურული ფასეულობები, არქეოლოგიური გათხრების ადგილები და რელიგიური ძეგლები, რომელთა უსაფრთხოების დაცვის პირობები უნდა გაუმჯობესდეს".

UNESCO-ს სისტემაში შემავალი, მუზეუმის უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტის ICMS-ის ყოველწიური კონფერენციის საქართველოში ჩატარება ჩვენს ქვეყანას მსოფლიო პროცესების მონაწილედ ხდის და ქართველი სპეციალისტებისათვის საუკეთესო საშუალებაა როგორც სიახლეების გაცნობის, ასევე კონსულტაციების მისაღებად ისეთ სფეროში, როგორიცაა საგანგებო სიტუაციებში მოქმედება. როგორც ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე აღნიშნავს, მუზეუმი ის ინსტიტუციაა, რომელსაც უსაფრთხოებაზე ზრუნვა მუდმივად სჭირდება, ისევე როგორც ევაკუაციის მოქმედების გეგმა, რაც აუცილებელი არაა მაინცდამაინც საომარ ან ბუნებრივ კატაკლიზმებს გულისხმობდეს. ექსპონატებს გარკვეული მეთოდოლოგიის მიხედვით მოპყრობა საცავისა თუ შენობის შეცვლის დროსაც სჭირდება, რისთვისაც არსებობს საერთაშორისო სტანდარტი. ქართველმა სპეციალისტებმა ამ სტანდარტის მიხედვით შეძლეს მოქმედება სვანეთში, მუზეუმის შენობის რესტავრაციის დროს, ასევე ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების ახალ საცავში გადატანისას. კონფერენციის მონაწილეებს საკუთარი გამოცდილების შესახებ ესაუბრა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციების მართვისა და კონსერვაციის განყოფილების ხელმძღვანელმა ნინო კალანდაძემ და გააცნო ის სტანდარტი, რაც მათ შეიმუშავეს აღმოსავლური კოლექციის ახალ საცავებში გადატანისას. ეს პროექტი ევროკომისიის "თვინინგის" პროგრამით განხორციელდა, სადაც ჩართული იყო პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი და ბერლინის ეროვნული მუზეუმი. ევაკუაციისათვის ქართულ მხარეს პირველ რიგში სჭირდებოდა ექსპონატების ინვენტარიზაცია, რადგან მასალები მრავალფეროვანი იყო, მოიცავადა ხელნაწერს, მხატვრობას, ფრაიფურს, ხეს, ქვას, ქსოვილს, რომელთა გადატანისათვის საჭირო გახდა გარკვეული სტანდარტის შემუშავება. ძირითადი მიზანი ექსპონატების პრევენციული კონსერვაცია იყო, ზიანის მინუმუმამდე დაყვანა და რისკის შემცირება. ამ საკითხზე ორი წლის მანძილზე შვიდი სამუშაო ჯგუფი მუშაობდა, მოხდა ყოველი ნივთის აღრიცხვა და დაფასოება, მიენიჭა საკუთარი ნომერი, შეფუთვის ნომერი, მასალის აღწერილობა და დაერთო ნივთის მდგომარეობის შესახებ ანგარიში, თუ რა სახის დახმარებას საჭიროებდა. აღმოსავლური კოლექციის ევაკუაციამ ახალ საცავებში ხუთი საფეხური გაიარა და აქვე შემუშავდა საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ტაქტიკა. ეს უკვე ის სტანდარტია, რითაც საქართველოს ეროვნული მუზეუმი იხელმძღვანელებს.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში მეხსიერების ინტერპრეტაცია მიმდინარეობს

სოფიო ნემსაძე



თანამედროვე ხელოვნებისა თბილისის საერთაშორისო ფესტივალის - "არტისტერიუმის" პარალელურ პროგრამაში რამდენიმე გამოფენა უკვე გაიხსნა, მათ შორის, საშა ჭავჭავაძისა და ლადო ფოჩხუას ნამუშევრების პრეზენტაცია საერთო სივრცეში.

ინაწილებენ სივრცეს და, ერთი შეხედვით, იფიქრებთ, რომ მხოლოდ სივრცეს. მხატვრები სხვადასხვა მედიებს მიმართავენ და განსხვავებული გამოვნებით გამოირჩევიან. მაგრამ აკავშირებთ კონცეფცია, სადაც ერთიც და მეორეც მეხსიერების საფუძველზე გარკვეულ ინტერპრეტაციებს აკეთებენ.

საშა ჭავჭავაძე ინსტალაციას ირჩევს, ინსტალაცია ტექსტილისაა და არამიზნობრივ ტანსაცმელს ჰგავს, სადაც მხატვარს გარკვეული ძველი და ასოციაციების აღმძვრელი არტეფაქტები ჩაუკერებია. იქვე უთო დაუდვია და გვთავაზობს, მეხსიერება ძველ გადასაფარებელზე გავაუთოოთ. ის ნაწილი, რომელიც გვინდა, ანდა სულაც ყველაფერი. წერს, რომ ისტორია და კულტურა ხშირად ხდება დავიწყებული მიმდინარე მოვლენების გამო. იმასაც წერს, რომ მისი "ტანსაცმელი რევოლუციისთვის" წარსულისკენ მზერაა, მაგრამ განსხვავებული და არა ფუტურისტული. სულ ეს არის, მეტად არ კონკრეტდება ავტორი, არც ტექსტში და არც ნამუშევარში.

ლადო ფოჩხუას დიდი ხანია საქართველოში არ უცხოვრია. რამდენადაც ყური მოვკარი (სხვა ინფორმაცია გალერეაში არ მოიძებნებოდა), ამჟამად ის ნიუ იორკში ცხოვრობს, თუმცა თბილისში ამ ბოლო დროს ხშირად იფინება. აქამდე არ მინახავს, ლადო ფოჩხუას რომელიმე ნამუშევარი რომელიმე ვიწროდ ქართულ საკითხს გამოხმაურებოდა. ვიზუალურად ამას ვერც ახლა იტყვით. დასავლურ თანამედროვე ხელოვნებაში კარგად გავრცელებული ხერხი - უსახური პერსონაჟებისა, ამჯერად ლადოსთვისაც საინტერესო გამხდარა. სახეამოჭრილი და ცხვირწაგრძელებული შუა საუკუნეების ევროპელი დიდგვაროვნების სილუეტები კონცეპტუალურად რატომღაც ქართულ თავადაზნაურობას დაუკავშირდა და გალერეაში ტექსტად დაგვიტოვა წერილი, სადაც ამბობს, რომ სერია საქართველოში მონარქიის ვერაღდგენას მიუძღვნა.

შერეული ტექნიკით გაკეთებული იმიჯები ირონიას აშკარად ითვალისწინებს. ირონიას ზოგადად ამ დიდგვაროვნების სილუეტებისა და მათი ყოფის მიმართ. მაგრამ ნამუშევრებსა და მხატვრის კონცეფციას შორის არსებული წინააღმდეგობის ახსნაც (რა კავშირშია ფრანგული პარიკები და სამოსი ქართველებთან) ასევე ირონიის ნაწილად უნდა მოვიაზროთ. სხვა გამოსავალი არ გვაქვს.

ქართველი თავად-აზნაურებისა და მონარქების ერთგვარი დროსა და სივრცეში ტელეპორტაცია 80-იან წლებში ლევან ჭოღოშვილმა საუკეთესოდ გააკეთა. არც იუმორი დაკარგა, არც ნოსტალგია. მართალია, ლევან ჭოღოშვილის მაშინდელი ხარისხი დამოკიდებულებასა და თემის გააზრებაში ჩემთვის ბევრად შთამბეჭდავია დღესაც, ვიდრე ყველა სხვა, მაგრამ ბიბლიოთეკაში გამოფენილი ლადო ფოჩხუას სერიაც დასამახსოვრებელია, სავარაუდოდ, მისი გროტესკის გამო.

"არტისტერიუმის" ფარგლებში გალა გალერეაში კოტე სულაბერიძის გამოფენა მიმდინარეობს. თუმცა ამ ექსპოზიციის შესახებ - მოგვიანებით.

აღსანიშნავია, რომ წელს ფესტივალის პროგრამაში ქართველი მხატვრები აქტიურობენ და როგორც დამთვალიერებლების სერიოზული ნაწილი აღნიშნავს, ხარისხობრივადაც ჯობნიან სტუმრებს...

კონფერენცია კულტურის სფეროს განვითარებისათვის

გუშინ აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის პირველი რეგიონული კონფერენცია დასრულდა. კონფერენციას ევროკომისიისა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები, აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის რეგიონული მონიტორინგისა და ძირითადი ბირთვის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ევროკომისიისა და ევროკავშირის დაფინანსებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყანაში კულტურული პროგრამა ხორციელდება. პროგრამის მიზანია კულტურული სექტორის როლის გაძლიერება და კულტურისთვის, როგორც რეფორმების ხელშემწყობი ძალის და ტოლერანტობისა და სოციალური ერთობის პოპულარიზაციის მექანიზმისთვის, უფრო მეტი მნიშვნელობის მინიჭება.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 15 პროექტი. პროგრამა 2011 წელს დაიწყო და 4 წლის განმავლობაში გაგრძელდება. 8-9 ოქტომბერს თბილისში აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურული პროგრამის პირველი რეგიონული კონფერენცია მიმდინარეობდა. 15 პროექტიდან 2 პროექტში საქართველო მთავარი პარტნიორია, 12 პროექტში კი ჩართულია, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის წევრი ქვეყანა.

პროგრამას 4 ძირითადი მიზანი აქვს. პირველი - წევრი სახელმწიფოების დახმარებას გულისხმობს კულტურის პოლიტიკის შემუშავებაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც ქვეყნის კულტურის პოლიტიკა იქნება დეკლარირებული:

"პროგრამის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომელშიც გამოიკვეთა კულტურის სფეროში არსებული მიღწევები და ხარვეზები, ეს რეპორტი აიტვირთება საიტზე, ის დამუშავების პროცესშია და ეს დოკუმენტი კულტურული პოლიტიკის შემუშავების საწყისი ეტაპია. კულტურის სამინისტრო აქტიურად დაიწყებს დიალოგს სამოქალაქო სექტორთან," - განაცხადა კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ანანო ასათიანმა.

პროგრამის დანარჩენ მიზნებს წარმოდგენს კულტურის სფეროს წარმომადგენლების პროფესიონალიზმის ამაღლება, ადამიანებს შორის ურთიერთობა და გამოცდილების გაზიარება, ევროკავშირთან ურთიერთობის გაცვლა და კულტურის როლის გაზრდა ეკონომიკური კეთილდღეობის საკითხში.

"კერძთაყვანისცემა - კულინარიული მოგზაურობა დროსა და სივრცეში"

გუშინ საღამოს საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში შედგა რუსუდან გორგილაძის წიგნის "კერძთაყვანისცემა - კულინარიული მოგზაურობა დროსა და სივრცეში" პრეზენტაცია.

წიგნი ქართული სამზარეულო და სანადიმო ტრადიციების მსოფლიო კულინარიული კულტურის ფონზე განხილვის პირველი ცდაა. საქართველო, როგორც წინა აზიის განუყოფელი ნაწილი, მრავალი კულტურის გავლენას განიცდიდა. "წიგნის მიზანია გავყვეთ ამ გავლენათა კვალს, რათა უკეთ გამოჩნდეს ის, რაც საკუთრივ ქართულია, ანუ რაც ამ გავლენებს ადგილზე ხვდებოდა" - წერს ავტორი. "ქართული გემოს" სპეციფიკის გამოსავლენად ავტორი მას "სხვა გემოებთან" შედარებით განიხილავს. წიგნი დროსა და სივრცეში გვამოგზაურებს, რადგან საქართველოში გამოყენებული ძირითადი საკვები პროდუქტებისა და სანელებლების გავრცელებასთან დაკავშირებული ამბები სხვადასხვა კონტინენტებსა და კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთებს მოიცავს.

წიგნი დაწერილია შემეცნებით-პოპულარული ლიტერატურის სტილში და განკუთვნილია მასობრივი მკითხველისათვის.

წიგნის პრეზენტაცია გაიმართა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და საქართველოს ჰარვარდის კლუბის მხარდაჭერით. **24 საათი**

ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲠᲘᲣᲛᲘ - 2012

5 ოქტომბერიდან მიმდინარეობს

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, სიონის 8,
18:00 - "არტისტერიუმი 2012"-ის გახსნა.

6 ოქტომბერიდან მიმდინარეობს

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ჭანტურიას 8,
12:00 - "Nine Dragon Heads" (სამხრეთ კორეა), საერთაშორისო საგამოფენო პროექტის პრეზენტაცია;
14:00 - გალერეა "Y"-ის პრეზენტაცია, მინსკი, ბელორუსია;
16:00 - "ბანერები და დღიურები", პოლონურ-ბელორუსული საგამოფენო პროექტი;
18:00 - ვიტალი კომარის საჯარო ლექცია /"კომარი და მელამიდი"/, აშშ.

7 ოქტომბერიდან მიმდინარეობს

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი, ცაბაძის 6,
14:00 - "ჯვარედინი დამტვერვა", ლორა სენსონი /აშშ/, "ქართული ტექსტილის ჯგუფი", "ლურჯი სახლი" /საქართველო/, ერთობლივი პრეზენტაცია-ვორკშოფი;
გალა გალერეა, ათონელის 27,
19:00 - "ცა - 24 საათი", კოტე სულაბერიძის პერსონალური გამოფენა.

8 ოქტომბერიდან მიმდინარეობს

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, სიონის 8,
13:00 - "განსხვავებები: ადამიანები პრობლემებით", Ghana ThinkTank-ის ვორკშოფი;
15:00 - იარო სლეპს, ჰიპ ჰოპი - ტექსტი/ტემპი, ვორკშოფი, აშშ;
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის 22,
14:00 - კენეტ ჰიუ, ლექცია/მასტერკლასი, დიდი ბრიტანეთი;
17:00 - "სამყურა", საერთაშორისო საგამოფენო პროექტი, ირლანდია, საქართველო, სომხეთი, პორტუგალია, საბერძნეთი;
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზი, გუდიაშვილის 7,
19:00 - საშა ჭავჭავაძე, "ტანსაცმელი რევოლუციისთვის", ლადო ფოჩხუა, "წიგნი ახალი ქართული
არისტოკრატიისთვის", აშშ.

9 ოქტომბერიდან მიმდინარეობს

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის 22,
14:00 - ჯონანა ფოიტიგის და ლორა ლაზერის ლექცია/ვორკშოფი საჯარო ხელოვნების მეთოდოლოგიის შესახებ, აშშ; გოეთეს ინსტიტუტი, ზანდუკელის 16,
17:00 - "ზებრა", პოეზიაზე შექმნილი ფილმების ფესტივალის პრეზენტაცია, ტომას ვოლფარტი /გერმანია/; რუსთაველის თეატრი, რუსთაველის გამზირი 17;
20:00 - "საწყისში დაბრუნება", მარია საფრონოვა /რუსეთი/, ალექსანდრე ჩინჩალაძე /საქართველო/.

10 ოქტომბერი, ოთხშაბათი

ბამბის და რკინის რიგის კუთხე, კინოს მოედანი,
19:00 - "მსხვერპლშეწირვა - სტატიკური დრამა", გიორგი ჯანიაშვილი, დავით ჯანიაშვილი.

12 ოქტომბერი, პარასკევი

"სვლა", სარა პელერენ-ოტ, გიომ შოსონ, საფრანგეთი, პერფორმანსი ტექსტით და მუსიკით, ორგანიზებული ფრანგული ინსტიტუტის მიერ, /ადგილი და ზუსტი დრო გამოცხადდება არტისტერიუმის მსვლელობისას/

13 ოქტომბერი, შაბათი

ელიავას ბაზრობის ტერიტორია,
14:00-18:00 - "აღმოაჩინე ელიავა: სტრიტვაიზ - ღია სახლი", ერთდღიანი ფესტივალი, ადგილ-სპეციფიკური
ინსტალაციები, პრეზენტაციები, აშშ/საქართველო;
15:00 - Ghana ThinkTank, "განსხვავებები: ადამიანები პრობლემებით", ინტერაქტიული სკულპტურა/პერფორმანსი;
17:00 - ჰიპ ჰოპ პერფორმანსი, იარო სლეპს/ირაკლი მაღრაძე.

კობი ბრაიანტი: "ჩემი მოტივაცია მეექვსე ბეჭედია"

ურთიერთობაზე სტივ ნეშთან, "ლეიკერსის" განახლებაზე, ლონდონის "ოლიმპიადაზე", თავის მისწრაფებასა და ჰობიზე ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" უცვლელი ლიდერი კობი ბრაიანტი ჟურნალისტებს ესაუბრა.

- კობი, რამდენი წლის ხართ?

- 34-ის. რატომ მეკითხებით?

- უბრალოდ, ისე არ გამოიყურებით, როგორც 34 წლის.

- სამაგიეროდ ზუსტად ამ ასაკის ადამიანად ვგრძნობ თავს და ეს არის საუკეთესო შეგრძნება, რომელიც კარიერის განმავლობაში მქონია.

- ფსიქოლოგიურად რა უფრო ადვილია - იყო 34 წლის თუ 26-ის?

- უფრო პირველი ვარიანტი. ასაკთან ერთად ჭკუა გემატება და ფსიქოლოგიურადაც უკეთ გრძნობ თავს.

- არაერთხელ გითქვამთ, რომ კლუბის ახალბედებთან მანამდე გაქვთ ურთიერთობა, სანამ ისინი კონტრაქტზე ხელს მოაწერენ. აქედან გამომდინარეობს ჩვეენი კითხვაც: როდის გაიგეთ, რომ ნეში "ლეიკერსში" გადმოვა? ცნობილია, რომ კანადელმა კონტრაქტის გაფორმებამდე თავად დაგირეკათ. როდესაც მასთან საუბარი დაასრულეთ, გაიფიქრეთ თუ არა: "ბოლოს და ბოლოს, ხელში ჩავიგდეთ"?

- "ლეიკერსში" გადმოსასვლელად ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტები წარვუდგინე. სტივს უდიდეს პატივს ვცემ. ჩვენ ხომ ერთად მოვედით ლიგაში.

- ერთი დრაფტიდან...

- დიახ, ზუსტად ასეა. ტალანტების იმ ბაზრობაზე ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენდით, საბოლოოდ როგორ კალათბურთელებად ჩამოვყალიბდებოდით და რომ ერთ მშვენიერ დღეს ერთ გუნდში აღმოვჩნდებოდით. ახლა კი დავამტკიცებთ, რომ "ბებერი ხარები" ვართ და ჯერ კიდევ ბევრი შეგვიძლია. სტივი ორჯერ გახდა სეზონის MVP. ის ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია და ახლა სულ ერთი პატარა ნაბიჯი სჭირდება, რათა კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო გამთამაშებლად იქცეს და ამ ნაბიჯს "ლეიკერსში" გადადგამს. ის გაუთანაბრდება, მეტიც, გაუსწრებს ჯონ სტოკტონს, მარკ პრაისს, აიზია ტომასს... სწორედ ეს იყო ჩემი მთავარი არგუმენტი მასთან საუბარში.

- თქვენი აზრით, რისი წყალობით მიაღწევს ნეში ასეთ წარმატებას?

- პირველ რიგში იმის გამო, რომ მოედანს კალათბურთელების დიდ უმეტესობაზე უკეთ ხედავს. არ ვიცი, საიდან აქვს მას ეს. ამის თაობაზე ჯობს მას ჰკითხოთ. შეიძლება ეს იმის გამო ხდება, რომ თავის დროზე ფეხბურთს თამაშობდა. რაც არ უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია: როდესაც ბურთი სტივს აქვს, მის თავში არაერთი კომბინაცია გაიელვებს ხოლმე და შემდეგ თვითონ აკეთებს არჩევანს, რომელი გაათამაშოს. მოკლედ, მასთან ერთად თამაში საინტერესო და სახალისო იქნება.

- ახლა უკვე უფრო ნაკლებ დროს გაატარებთ ბურთთან. იქნებ ჯობდეს, თქვენ ნაკლები ქულა დააგროვოთ და გუნდმა უფრო დიდი ანგარიშით მოიგოს...

- იცით, ზოგიერთები უბრალოდ ვერ აზროვნებენ. ამბობენ, რომ ეგოისტი ვარ და მხოლოდ საკუთარ თავზე ვთამაშობ. ერთ მაგალითს მოგიყვანთ. ჩემი თაობის კალათბურთელებიდან ყველაზე მეტი ტიტული მე მაქვს მოგებული. შეუძლებელია იყო ეგოისტი და ერთხელ მაინც გახდე ჩემპიონი, მე კი უკვე ხუთჯერ მოვირგე ჩემპიონის ბეჭედი. ნეშის მოსვლასთან ერთად მე უფრო ნაკლებად ვიქნები ბურთთან და მეტი სათამაშო სივრცე მექნება. ეს კი გაცილებით სასიამოვნოა.

- თქვენი აზრით, რა უნდა ქნას თქვენი გუნდის ოპონენტმა - მოახდინოს თქვენი, ნეშის, ჰოვარდის თუ გაზოლის ნეიტრალიზება?

- არ ვიცი. ეს მეტოქე გუნდის მწვრთნელებმა უნდა მოიფიქრონ.

- როგორ შეცვლის დუაიტ ჰოვარდი თქვენი გუნდის თამაშს?

- გასულ სეზონში ბევრი პრობლემა გვქონდა "ოკლაჰომასა" და "მაიამისთან" თამაშებში. ამ გუნდების კალათბურთელები საკმაოდ ათლეტურები არიან იმისთვის, რომ სამწამიანში შეძვრნენ. ახლა მათ უბრალოდ ვეტყვით: მიდი აბა, სცადე სამწამიანში შესვლა, იქ ჰოვარდია.

- ზემოთ ტიტულები ახსენეთ. მეექვსე ბეჭედზე არ ფიქრობთ?

- რა თქმა უნდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩემი მთავარი მოტივაციაა.

- ამას წინათ თქვით, რომ ამ ფორმაციის "ლეიკერსი" ყველაზე ძლიერი გუნდია, რომელშიც ოდესმე გითამაშიათ.

- დიახ, ეს უდავოდ ასეა. თქვენ გაინტერესებთ, შევძლებთ თუ არა ჩემპიონობას. ვნახოთ, ჯერ ამაზე ძნელია საუბარი. ცხადია, ძლიერი შემადგენლობა გვეყოლება. ახლა ეს ჩემი გუნდია, თუმცა, მინდა, რომ დუაიტ ჰოვარდმა იცოდეს: როდესაც კარიერას დავასრულებ, ეს უკვე მისი გუნდი იქნება. მინდა ვასწავლო ყველაფერი, რაც ვიცი, რათა ჩემი წასვლა კლუბს არ დაეტყოს.

- ასე რომ, სუპერმენი უკვე უნდა მოემზადოს?

- ყოველ შემთხვევაში, მზადება დაიწყოს.

- როგორ აფასებთ სიმულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ მეთოდებს?

- მინდა, რომ ამან შედეგი მოიტანოს. ჩემი აზრით, ფიბაში ეს კარგად მუშაობს. თუ კალათბურთელმა ორჯერ ისიმულიანტა, მეტოქეს საჯარიმოების ტყორცნის უფლება ეძლევა და ბურთი მეტოქეს რჩება. სამწუხაროდ, NBA-ში სიმულაციის ფაქტები ხშირია. ამ საქმის პიონერად ალბათ უნდა დავასახელო დივაცი, რომელიც ფლეი-ოფში შაკილის წინააღმდეგ ბრძოლაში ისე სიმულირებდა, რომ ეს ხელოვნება იყო. ვლადს ეს კარგად გამოსდიოდა.

- ოლიმპიური თამაშები მეორედ მოიგეთ და თქვით, რომ ეს თქვენთვის უკანასკნელი ოლიმპიური მედალია.

- ოლიმპიური თამაშები ძალიან კარგი და სასარგებლო გამოცდილებაა. ვცდილობდი, რაც შეიძლება, მეტ შეჯიბრებას დავსწრებოდი.

- დიახ, შევამჩნიეთ. შვილებსაც თან ატარებდით...

- დიახ. მახსოვს, ერთი ძალიან სასიამოვნო დღეც, როდესაც მოვახერხე ჯერ ფედერერის თამაშის ნახვა, მერე კი - სერენა უილიამსის. გამიმართლა - სწორედ იმ დღეს გამართა როჯერმა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩი. ბავშვებმა ცოტა იწუწუნეს, სიჩუმეში ჯდომა მობეზრდათ. ამ თამაშის შემდეგ კი ველოდრომზე წავედით.

- ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენებიდან, თქვენ გარდა, კიდევ ვის შეგვიძლია ვუწოდოთ უდიდესი სპორტსმენი?

- ფელპსი. ის, უბრალოდ, ფენომენალურია. რა თქმა უნდა, უსეინ ბოლტი. ცოცხლად ვნახე მისი სირბილი და ეს რაღაც ფანტასტიკურია.

- შეხვდით მას?

- სტადიონზე შესასვლელი ბილეთი არ მქონდა, ერთ ჟურნალისტს ვთხოვე და პრესზონაში შემიყვანა. როდესაც ბოლტმა საკვალიფიკაციო გარბენი დაასრულა და გამოდიოდა, მკითხა, როგორ ხარო.

- კალათბურთელთან კარგად მაშინ შეიძლება ისაუბრო, თუ კალათბურთზე არ ელაპარაკები. შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, რომ თქვენ გიყვართ Guitar Hero (მუსიკალური ვიდეოთამაში) და ევროპული ფეხბურთი.

- დიახ, ასეა.

- ფეხბურთი საყვარელი სპორტია?

- აბა რა გითხრათ, ახლა ახალი გატაცება მაქვს - ჩოგბურთი.

- და რამდენად კარგად გრძნობთ თავს კორტზე ფედერერის წინააღმდეგ თამაშში?

- ჯერ მთლად კარგად ვერა. იმედია, ერთ წელიწადში რამეს მასწავლის.

- ძნელი წარმოსადგენია კორტზე თქვენი დამარცხება, როცა ბადესთან გახვალთ, ბურთსაც კი ვერ აგაცილებენ...

- მოკლედ, ყოველდღე სამ საათს ვვარჯიშობ.

- თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, ბავშვობაში კობი ბრაიანტი ვიდეოკასეტების საშუალებით აკვირდებოდა დიდი კალათბურთელების თამაშს...

- სრული სიმართლეა.

ტაისონი დაღვინდა

გიგა გურასაშვილი

ინგლისში მყოფ მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს მაიკ ტაისონს The Telegraph-მა ჩამოართვა ინტერვიუ, რომელშიც "რკინის მაიკი" რინგზე დაბრუნებულ ორი სხვადასხვა წონითი კატეგორიის მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ, ბრიტანელ რიკი ჰატონზე, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებზე, უკრაინელ ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოებსა და ბრიტანელ დევიდ ჰეიზე საუბრობს. საუბრობს ხელმეორედ შეძენილ ცხოვრების ხალისზეც. და, საერთოდ, რაზეც საუბრობს, ბევრისთვის კარგ სახელმძღვანელოდაც გამოდგება.



"როდესაც მოკრივე ხარ, ყველაფერი ასე მარტივად არაა. რიკიმ უნდა იცოდეს, როდის დადგება წასვლის დრო. ერთნი ამბობენ: "წადი", მეორენი კი ამბობენ: "რატომ? გადაირიე?" შემდეგ რაც ჩვენ ვიცით: რიკი ჩემპიონს ყბაში ურტყამს და კვლავ მსოფლიო ჩემპიონად იწოდება. ჩვენ რა ვიცით? სწორედ ესაა ახლა გასარკვევი. დაბრუნება სულაც არ არის ადვილი. თანმიმდევრული უნდა იყო.

მიხარია, რომ რინგს დაუბრუნდა, მაგრამ მაინტერესებს, თვითონ თუ არის ამით კმაყოფილი. თუ მასში ისევ ბობოქრობს ენერგია და სწრაფვა, ეს უფრო მეტად მახარებს. რიკის ბევრი მძიმე ბრძოლა გადახდენია. არიან ისეთები, ვისაც სჭირდება დრო ელემენტების ხელახლა დასამუხტავად. გვინახავს იმის მაგალითებიც, თუ როგორ აუღიათ შესვენება და შემდეგ წარმატებით დაბრუნებიან რინგს.

რიკის ვურჩევ, ყველაფერი მშვიდად აღიქვას. აუცილებელი არ არის, მაგარი ბიჭობის დასამტკიცებლად საკუთარ თავს გადაახტეს. სჯობს ჩაატარო მშვიდი ორთაბრძოლები, აღიდგინო თვითრწმენა - რინგზე დაბრუნება კომფორტული უნდა იყოს. საქმე თვითკონტროლშია. მიზნის მისაღწევად არსებობს შესაბამისი პროცედურები. რასაც არ უნდა ეძებდეს, იმედია, ცუდი არ იქნება. მე შემეძლო მიმემართა ნარკოტიკებისთვის, რადგან ეს ძნელად დასალაშქრავი მწვერვალია. ძნელია მისი რითიმე შეცვლა. ამაში ნარკოტიკები ვერ დაგეხმარება. ის აღმაფრენა, ის ადრენალინი, რომელიც თან ახლავს დიდ ბრძოლებს, ძალზე ძნელია რაიმეთი შეცვალო. თუ წაგებას იწყებ, მას ვერაფრით შეცვლი. ბევრი რამისგან თავი უნდა შეიკავო, იყო მართალი საკუთარ თავთან. საკუთარ თავს უნდა შეუძახო: მოდი, რამე სხვა ვცადოთ, შევეცადოთ, გავხდეთ უკეთესი.

მოდი, ვიმუშაოთ იმაზე, რომ გავხდეთ უკეთესი მეუღლე და მამა - ეს ყველაფერი ბანალურად ჟღერს და გამოიყურება როგორც ნაგავი, მაგრამ სწორედ ესაა სწორი გზა. სწორედ ეს დამეხმარა მე. ასეთ ადამიანებს ყოველთვის ზევიდან ვუყურებდი, მერე კი გავაცნობიერე, რომ გავხდი ის, რაზეც მუდამ ვქილიკობდი".

მძიმე წონაზე

"მძიმე წონა კვლავინდებურად კარგია - ისეთი არ არის, როგორიც ადრე იყო. ადრე იქ მეტი იყო დრამა. 90-იან წლებში, როდესაც ჩვენ გამოვდიოდით რინგზე, ეს ერთგვარი საპნის ოპერა იყო. ჩვენ ვიყავით მშფოთვარე მოკრივეთა ბანდა, მაყურებელს კი უყვარდა მოქმედებებით გაჯერებული ბრძოლა. ახლა საქმე გვაქვს დახვეწილ მოკრივეებთან, რომლებიც დგომში ჩხუბობენ. უბრალოდ, ეს ისაა, რასაც ხალხი შეეჩვია.

მოქმედ ჩემპიონთა წყალობით ახლა სიმშვიდე და უშფოთველობაა. ჰეი ბრწყინვალე მოკრივეა, რომელმაც ვლადიმირ კლიჩკოსთან მატჩში მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება. მეგონა, ვლადიმირი უფრო ადვილად მოიგებდა. კლიჩკოები შესანიშნავი მოკრივეები არიან. ისინი ნებისმიერ მძიმეწონოსანს შეუქმნიდნენ პრობლემებს, მათ შორის მეც.

ვიცი, ხალხს არ უნდა ამის დაჯერება, მაგრამ ნამდვილად ასეა. ხანდახან არ გვინდა ამის დაჯერება. ჩვენ ჩვენს დროზე ჩავიციკლეთ. მოგვწონს ჩაკ ბერი, მოგვწონს ელვის პრესლი. ადამიანი, ქვის ხანიდან მოყოლებული, დღემდე ვითარდება. ჩვენ მუდმივად ვიხვეწებით. 80-იანი წლებიდან დაწყებული, უკეთესები გავხდით. გაჩნდა მეტი ტექნოლოგია, მეტი ადამიანი, ბევრი ფული, სამყარო გაიზარდა და ჩვენც უკეთესები გავხდით. და ეს ბიჭებიც არავისთვის არ იქნებოდნენ ადვილი მეტოქეები. არ იქნებოდნენ მათი წინამორბედებისთვის.

ჩვენ ვიპოვით კიდევ ერთ ასეთ ბიჭს, მაგრამ ახლა ალბათ ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი დგას, როდესაც არ გვყავს ახალი სახელგანთქმული მძიმეწონოსანი. თუ ვინმე გამოჩნდა, მას მაყურებელიც შეიყვარებს. მაყურებელს უყვარს სანახაობრივი კრივი. კლიჩკოები სანახაობრივები არიან. ხშირად გამოდიან რინგზე. ისინი არ არიან პოპულარულები ბრიტანეთსა თუ ამერიკაში, მაგრამ გერმანიასა და ბალკანეთში ძალზე პოპულარულები არიან.

ვიცი დევიდ ჰეი. იმედი მაქვს, დროთა განმავლობაში ბევრად დაღვინდება, როგორც მოკრივე. ვფიქრობ, თუ გააგრძელებს ასპარეზობას და მეტ გამოცდილებას მიიღებს, კვლავ მსოფლიო ჩემპიონი გახდება. დევიდ ჰეიში არის მოკრძალებულობა, მაგრამ ეს ის მოკრძალებულობა არაა, რომელიც მგონია, რომ უნდა ჰქონდეს. თავშეკავებულია, როდესაც მარტოა. მან იცის, რას აკეთებს. ეს არ არის მსახიობობა. ეს ნამდვილია. მსუბუქად ჟღერს, რადგან ის ის არაა, მაგრამ ის ისაა, რაც უნდა გააკეთოს, რათა მიაღწიოს იმ მიზნებს, რომელსაც უნდა მიაღწიოს. კრივი მგლების ბიზნესია. კლიჩკოებმა მას მისცეს ახალი სახე, მაგრამ იგივეს ფიქრობდა ხალხი, როდესაც ჯინ ტანი (ამერიკელი მოკრივე ჯეიმს ჯოზეფ "ჯინ" ტანი (1897-1978) მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი (1926-1928 წლებში) მძიმე წონაში. 81 მოგება, აქედან 48 ნოკაუტით, 1 ნაგება და 2 ფრე) იყო ჩემპიონი. ის სხვანაირი გახლდათ. მათ ყველას სხვა გზა აქვთ. მნიშვნელობა არა აქვს, შავი ხარ თუ თეთრი, უკრაინელი, რუსი, ბრიტანელი თუ ამერიკელი. ყველა მათგანი თავისი გზით მიდის. აი, რა გავლენას ახდენს მძიმეწონოსანთა საჩემპიონო ქამარი ადამიანებზე.

თუ დღეს ვინმეს უნდა რამეს წარმოადგენდეს, მათ კლიჩკოები უნდა დაამარცხონ.

ახლანდელ ცხოვრებაზე

იმ დროს, როდესაც მსოფლიო ჩემპიონად ვიწოდებოდი, მზად არ ვიყავი, მცოდნოდა ეს ყველაფერ. ახლა კი მზად ვარ. ეს ყველაფერი ადრე რომ შემეცნო, შესაძლოა, ვერასდროს ვერ გავმხდარიყავი კარგი მოკრივე. ვიქნებოდი ზედმეტად მიამიტი და დამთმობი. იმხანად ჩემი ის ნატურა ყველაზე მეტად შემეფერებოდა, ახლა კი ის ჩემთვის შეუფერებელია.

ვიცოდი, რომ ვიქნებოდი ჩემპიონი, მაგრამ არასდროს არ მიფიქრია სიბერეზე. მართალია, ეს არ არის მოხუცებულობა, მაგრამ სხვაგვარად ვაზროვნებ, ვიდრე ახალგაზრდობაში. ცხოვრებას ჩამოვრჩი, აღარ მაქვს განდიდების შეგრძნება. ნაკლებად მნიშვნელოვანი ვარ მოვლენათა ქარტეხილებში. შვილები ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ბავშვებთან სახლში ყოფნა მიწევს მანამ, სანამ ჩემი ცოლი არ დაბრუნდება. წარსულზე რომ ვნანობდე, დღეს ასეთი ბედნიერი არ ვიქნებოდი. ყველაფერი, რაც გავაკეთე, ციხეში ჯდომა იყო ეს თუ შეხვედრა ჰოლიფილდთან, უამისოდ და ბევრი სხვა დანარჩენის გარეშე, რაც თავს გადამხდენია, ჩემი ცხოვრება უღიმღამო იქნებოდა.

კაპიტანი

პირველი გვერდიდან

დაბრუნდა ის მაღალი შვედი, მშვიდი ცენტრი შელბომი და კერტის მილეჯით გუნდი რეალურ ბონუსს იღებს. "არმია" ევროჩელენჯზე გადის, იქ სამი საინტერესო სპარინგი ექნება და იდეაში, უნდა გაქაჩოს. შემდეგ დონემდე უნდა გაქაჩოს. "არმია" სუპერლიგის ფავორიტი, ჩვენი ჰიტი იქნება. ევროჩელენჯზე გუნდი ისრაელის "ჰაპოელზე", გერმანულ "ტელეკომზე" და "ანტვერპენზე" გავიდა. "ანტვერპენზე", რომელიც ბელგიიდან არის. და "არმიას" შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი რეალურად აქვს. კაპიტანი ბევრ რაღაცაზე დაგველაპარაკა. წავედით.

ზვიად ბაბიაშვილი: "არმია" შეიცვალა. გუნდიდან წავიდნენ ლეგიონერები და ახალი ხალხი მოვიდა. ძველი შემადგენლობიდან დავრჩით მე, უგრეხელიძე, შარაბიძე, ანატოლი ბოისა და საყვარელიძე. "არმია" სუპერლიგის ჩემპიონია, გუნდმა საინტერესო, აუცილებელი გამოცდილება მიიღო და ამ სეზონშიც მაქსიმუმი უნდა ავიღოთ.

- კარიერას ამთავრებდი, ხო?

- კი, მინდოდა დასვენება, სამწვრთნელო ამბებში გადასვლა. თამაშით არ ვიღლები, მაგრამ ალბათ, უფრო დასვენების ამბავში გადავწყვიტე წასვლა, ბავშვებთან მუშაობა. დაველაპარაკე ამაზე მთავარ მწვრთნელს, კოტე ტუღუშს და კოტემ მითხრა, მე მჭირდები და დანარჩენი შენ იცი რა, შენ უნდა გადაწყვიტოო. ცოტა ვიფიქრე, გუნდთან ერთად დარჩენა გადავწყვიტე და ალბათ, შეცდომა არ დამიშვია. კოტესთან, "არმიაში" ნებისმიერ მოთამაშესთან ერთად ყოფნა და მოგება ჩემთვის პატივია.

- კოტე როგორი მწვრთნელია?

- საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო. კოტემ ბევრი რაღაც მიიღო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტობის დროს. ამ დონეზე ბევრს ითვისებ, სწავლობ, საკუთარ თავზე მუშაობ და ცდილობ, რომ გამოცდილება, ცოდნა გამოიყენო. ჩემი მეგობარია, მაგრამ ამას სუფთა გეუბნებით, როგორც მოთამაშე. კოტე საკუთარ თავზე ბევრს მუშაობს და ცდილობს, რომ გუნდში სასიამოვნო და მაგარი სიტუაცია იყოს. ამას მშვენივრად აკეთებს.

ზვიად ბაბიაშვილი

- ჩვენ კალათბურთში ახალი თაობა მოდის და თან, ვერც მოდის. არაეროვნულ დონეზე ბევრი წავაგეთ. გამოსწორდება სიტუაცია?

- კარგი ბავშვები მოდიან და ამ ბავშვებს ალბათ, ცოტა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. ვინც უნდა მიაქციოს, იცის. მოთამაშე თავისი ნიჭით ყველაფერს ვერ გააკეთებს. მწვრთნელმა ის ნიჭი უნდა გააშლევინოს, საკუთარ თავზე მუშაობა ასწავლოს. არ არის შედეგი? იქნება. შეცდომის დაშვება ადვილია, გამოსწორებაა უფრო რთული. ეს შეცდომა მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა ერთად უნდა გამოასწორონ. ცუდი არ იქნება, თუ ჩვენი მწვრთნელები მეტ სემინარზე ჩავლენ, მეტ გამოცდილებას მიიღებენ. მეტი უნდა იმუშაონ ბავშვებთან დრიბლინგზე, სროლაზე, დაცვაზე. ყველაზე ელემენტარულ რაღაცეებზე რა... ბავშვი ფიზიკურად უნდა ვითარდებოდეს. ეს პროცესი ჩვენთან ცუდად მიდის. მოკლედ, ყველაფრის მოგვარება შეიძლება.

- ბავშვებთან შენც მუშაობ, ხო? საკუთარ სკოლაში...

- კი, პატარებს ვავარჯიშებ. საინტერესო პროცესია.

- ეს "არმია" შარშანდელ გუნდზე სუსტია?

- უბრალოდ, სხვა გუნდია. შარშან უფრო სოლიდური ინდივიდუალისტები გვყავდა, მაგრამ გუნდმა სხვა შემადგენლობით შეიძლება უკეთ გაკეთოს ყველაფერი. გუნდი იცვლება და ეს ჩვეულებრივი პროცესია. არ გვყავს გეინსი, რიჩარდსონი, ტომასი, ვუდსაიდი, დიასი. დაბრუნდა შვედი ცენტრი შელბომი, ჩამოვიდა კერტის მილეჯი. ავეწყობით, მწვრთნელები სიტუაციას დაალაგებენ და ვნახავთ, რა ნიუანსში გვექნება მოსამატებელი, რა უნდა შეიცვალოს. გვყავს ნაკლები ლეგიონერი და მეტი ქართველი მოთამაშე. დაბრუნდა ვლადიმერ ბოისა. გუნდისთვის მაგარი საჭირო კაცია. ვოვას მოაქვს გამოცდილება. ძალიან დიდი გამოცდილება და უფრო მეტი დადებითი ემოცია, პოზიტივი. ბოისა ბევრ რაღაცას ცვლის მოედანზე და მოედნის გარეთ. იცის, როდის და ვის რა უნდა უთხრას. ბოისას აყვანა ძალიან კარგი სვლა იყო.

- შარშანდელი ევროჩელენჯი გავიაროთ. ხო იყო შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი?

- კი, იყო. ცოტა არ გაგვიმართლა, პრობლემები ჩვენც ვერ მოვაგვარეთ და ალბათ, იმ შემადგენლობით შემდეგ ეტაპზე გასვლა რეალური იყო. გეინსი ცოტა ადრე რომ წასულიყო, ვუდსაიდი ცოტა ადრე რომ ჩამოსულიყო. მიიღო ტრავმა დიასმაც და ყველაფერი ეს დაგროვდა. გუნდმა ბოლომდე ვერ გაქაჩა და იმედი მაქვს, ამ სეზონში "არმია" მეტს გააკეთებს. ბევრი ამბობს, რომ შარშან "არმიამ" მოკლე სკამის გამო წააგო. მოკლე სკამი რა შუაშია... უბრალოდ, ლეგიონერების დიდი ხნით დასვენება პრობლემა იყო. ყველა ერთ დონეზე ვერ იქნება. ლეგიონერი სხვა დონეზე უნდა იყოს, მეტი მოასწროს, მეტი პრობლემა მოაგვაროს. ჩვენც ვიტვირთებოდით, მაგრამ მწვრთნელი უფრო სხვებს ათამაშებდა და ეს ჩვეულებრივი პროცესია. გუნდში ეს ყველას ესმოდა. როგორც საჭიროა, ისე უნდა ითამაშო. მწვრთნელი ალაგებს გუნდს, ანაწილებს დროს.

- უკეთესი მოთამაშეების დამატება მარტო ფინანსების თემაა?

- შარშან NBA-ში გაფიცვა იყო და კარგი მოთამაშის ნორმალურ თანხად დამატების შანსი გაჩნდა. ეს შანსი ბევრმა გუნდმა გამოიყენა. წელს გაფიცვა არ არის და თითქმის ყველა სერიოზული მოთამაშე დაკავებულია. გაიზარდა ევროპელების ფასიც. მაგარია, როცა გუნდში რიჩარდსონი და ტომასი გყავს, მაგრამ გასათვალისწინებელია გუნდის ფინანსური მდგომარეობაც. ყველას ვერ იყიდი. ვინც გყავს, ის უნდა ათამაშო და გამოიყენო. ეს "არმია" შარშანდელზე უკეთ არის დაბალანსებული, უფრო თანაბარი შემადგენლობა გვყავს.

- არ იყო გიორგი ცინცაძის დამატების ვარიანტი?

- ცინცაძის დამატების ვარიანტი სულ არის. კარგი მოთამაშე ყველგან საჭიროა. გიორგის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჰქონდა და მისი აყვანის მსურველების სიაც გაიშალა. "არმია" ცინცაძეზე პრეტენზიას აცხადებდა, მაგრამ გიორგიმ სხვა ვარიანტი აირჩია. უკრაინაში სოლიდური ჩემპიონატია და როგორც ვიცი, კლუბმა ცინცაძეს კარგი პირობები შესთავაზა. გიორგიმ მაგრად მოუმატა და ახალ კლუბში წარმატებას ვუსურვებ. ალბათ, ეს უკეთესია საქართველოს ნაკრებისთვისაც. ცინცაძემ მაღალ დონეზე თამაში დაიმსახურა.

ხელი ზამთრის მოლოდინში

ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში განსაკუთრებით ხმამაღალი და სენსაციური გარიგებების მოწმენი არ გავმხდარვართ. ასე რომ, გამორიცხული არ არის, ტოპ კლუბებმა ზამთარში იაქტიურონ. მართალია, ზამთრის სატრანსფერო პერიოდი, ზაფხულთან შედარებით, ყოველთვის მშვიდია, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ წლევანდელი ზამთარი გამონაკლისი გამოდგეს. ახლა ვისაუბრებთ სწორედ იმ ფეხბურთელებზე, რომლებმაც, შესაძლოა, ზამთარში კლუბები შეიცვალონ.

ნანი - "იუვენტუსი"

პორტუგალიელ შემტევს "მანჩესტერში" აღარ დაედგომება. მას ჯერ კიდევ ზაფხულში სურდა კლუბის შეცვლა, მაგრამ "ზენიტში" გადასვლა რატომღაც ჩაიშალა. ახლა კი ნანით "იუვენტუსია" დაინტერესებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ პორტუგალიელი ტურინისკენ აიღებს გეზს.

ეშლი კოული - პსჟ

ევროპის საფეხბურთო რუკაზე გამოჩნდა კიდევ ერთი კლუბი, რომელიც ფულის ხარჯვას არ ერიდება. "ჩელსისა" და "სიტის" პსჟ დაემატა. პარიზული გრანდი ცდილობს ვარსკვლავების შეძენას და აქტიური საზაფხულო სატრანსფერო საქმიანობის შემდეგ არც ზამთარში აპირებს მშვიდად ყოფნას. Pარიზელებმა მიზანში ამოიღეს ინგლისის ნაკრებისა და "ჩელსის" მარცხენა მცველი ეშლი კოული, რომელსაც, მართალია, კლუბში ყველაფერი წესრიგში აქვს, მაგრამ ინგლისური ფეხბურთის მაღალჩინოსნებთან გაუფუჭდა ურთიერთობა და ამის გამო, შესაძლოა, სხვაგან გადავიდეს.

სერხიო რამოსმა, შესაძლოა, კლუბი შეიცვალოს

ფერნანდო ლორენტე - "იუვენტუსი", "ჩელსი", "არსენალი", "სიტი"

ესპანეთის ნაკრებისა და ბილბაოს "ატლეტიკის" ფორვარდი ზამთარში აუცილებლად შეიცვლის კლუბს. საქმე ის არის, რომ ლორენტემ "ატლეტიკთან" კონტრაქტი აღარ გააგრძელა და ახლა უკვე თავად კლუბიც დაინტერესებულია მისი ტრანსფერით. ლორენტეს შეძენის მსურველი კი საკმაოდ ბევრია.

არტურო ვიდალი - "მანჩესტერ იუნაიტედი"

"მანჩესტერმა" ზაფხულში რობინ ვან პერსი შეიძინა. კლუბის ქომაგებმა ამის გამო სერ ალექსი გააკრიტიკეს კიდეც - ფორვარდის ყიდვას, ერთი ნორმალური ნახევარმცველი ეყიდათო. ზამთარში "მანჩესტერი" სწორედ ამის გამოსწორებას შეეცდება და "იუვენტუსთან" ვიდალის ტრანსფერზე დაიწყებს მოლაპარაკებას.

იან მვილა - "არსენალი", "ჩელსი"

მვილას ინგლისში გადასვლაზე ჯერ კიდევ ზაფხულში საუბრობდნენ, მაგრამ საფრანგეთის ნაკრების საყრდენმა "რენი" არ დატოვა. ზამთარში კი ამ ფეხბურთელის შეძენას ორი ისეთი კლუბი შეეცდება, რომ მვილას ინგლისში გადასვლა თითქმის უკვე გადაწყვეტილია.

რადამელ ფალკაო - "ჩელსი", "რეალი"

ამ ფორვარდის გადაბირებით ევროპული ფეხბურთის თითქმის ყველა გრანდია დაინტერესებული. ფალკაო ჯერჯერობით "ატლეტიკოს" ერთგულია, თუმცა, როდემდე გაგრძელდება ასე, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, რადამელმა სეზონი "ატლეტიკოში" დაასრულოს, თუმცა, ზამთარშივე გადაწყდეს, რომ მომავალი სეზონიდან რომელიმე ევროპულ გრანდში გადავა.

სერხიო რამოსი - "ჩელსი", "მანჩესტერი"

ეს ფეხბურთელი ლამის "რეალის" სიმბოლოდ იქცა, მაგრამ ჟოზე მოურინიოსთან გაფუჭებული ურთიერთობის გამო, შესაძლოა, "სამეფო კლუბის" დატოვება მოუხდეს.

ფინელები საქართველოს საფეხბურთო ნაკრების სამასპინძლოდ მზად არიან

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებს 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში გასვლითი შეხვედერბი უწევს. თავდაპირველად ფინეთს ეწვევა, ოთხი დღის შემდეგ კი ბელორუსთან უკვე განმეორებითი შეხვედრა აქვს. ასე რომ, ფინეთის საფეხბურთო ბანაკზე და მის მწვრთნელზე ვთქვათ, რომელსაც 12 ოქტომბერს ჰელსინკის "ოლიმპიური" სტადიონი უმასპინძლებს და რომელზე დასასწრებად მასპინძლებმა ამ დროისთვის 10 ათასი ბილეთი გაყიდეს, ტევადობა კი 40 ათასია.

ფინეთის ნაკრების მწვრთნელმა მიქსუ პაატელაინენმა ადრეც შეაქო საქართველოს ნაკრები და საქებარი სიტყვები არც ახლა დაუშურებია. ფინელთა თავკაცი აღნიშნავს, რომ ქართველებს საკმაოდ სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს და დაცვაზე არიან ორიენტირებულნიო.

"საქართველოს ნაკრები ხშირად ყრუ დაცვას მიმართავს, ნახევარდაცვაში ექვს ფეხბურთელს ათამაშებენ და ცდილობენ, მაქსიმალურად შეზღუდონ მეტოქის შეტევები. სექტემბერში ესპანეთთან ძალზე მჭიდროდ ითამაშეს და ბევრი პრობლემაც შეუქმნეს. ქართველები მეტწილად ასე მოქმედებენ გასვლით შეხვედრებში, თუმცა ნამდვილად არ ვიცი, 12 ოქტომბერსაც ასე ითამაშებენ თუ არა", - აღნიშნავდა პაატელაინენმა.

ისიც ვთქვათ, რომ საბუკმეკერო კანტორები ფინეთსა და საქართველოს შორის ფავორიტად მასპინძლებს მიიჩნევენ, რაც მოსალოდნელიც იყო. თემურ ქეცბაიას გუნდის შესაძლო წარმატება 3,5-დან 4,8-მდე მერყეობს. დანარჩენში კი თავადაც გაერკვევით.

bwin:	1,95 3,3 3,9
paddy power:	1,91 3,2 3,5
bet365:	1,8 3,4 4,75
bet-at-home:	1,9 3,35 3,75
unibet:	1,77 3,45 4,35
william hill:	1,91 3,3 4,0

სარაგბო მსოფლიო თასი საფეხბურთო სტადიონებზე

მსოფლიო თასს ოლიმპიური სტადიონი და "უემბლიც" უმასპინძლებენ.

2015 წლის სარაგბო მსოფლიო თასს ინგლისი მასპინძლობს. მართალია, საქართველოს ნაკრებს ამ ტურნირზე თამაშის უფლება ჯერ არ მოუპოვებია, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ «ბორჯღალოსნები" ზედიზედ მეოთხე მსოფლიო თასზე ითამაშებენ. ამის თქმის საფუძველს ჩვენი მორაგბების მიერ ნაჩვენები შედეგები გვაძლევს. ასე რომ, ყველაფერი, რაც 2015 წლის მსოფლიო თასს უკავშირდება, ჩვენთვის საინტერესოა.

მიუხედავად იმისა, რომ ტურნირის დაწყებამდე კიდევ დიდი დროა, მსოფლიო თასის ორგანიზატორებმა უკვე დაასახელეს ის სტადიონები, რომლებიც, სავარაუდოდ, მსოფლიო თასის მატჩებს უმასპინძლებენ. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ სიაში აღმოჩნდნენ "უემბლი" და ლონდონის ოლიმპიური სტადიონი. ცხადია, ორგანიზატორებს არც ინგლისის რაგბის სახლად შერაცხილი "ტვიკენჰემი" და კარდიფის "მილენიუმის" სტადიონი გამორჩენიათ. ზემოთქმულის

მიუხედავად, ინგლისური სარაგბო თემი არჩევანით კმაყოფილი არ არის. საქმე ის არის, რომ ორგანიზატორებმა ამ სიაში წმინდა სარაგბო სტადიონებიდან მხოლოდ ერთადერთი შეიტანეს. ეს გახლავთ "გლოსტერ კინგშლომი". სამაგიეროდ სიაში მოხვდა საფეხბურთო სტადიონი "ოლდ ტრაფორდი", სადაც საშინაო მატჩებს მართავს "მანჩესტერ იუნაიტედი".

სიაში ვერ მოხვდა "ლესტერ ტაიგერსის" სტადიონი. არადა, ამავე ქალაქის საფეხბურთო გუნდის სტადიონი საიაში აღმოჩნდა.

"ტურნირის ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ ჩვენი არენა არ არის მზად იმისთვის, რათა ასეთ ტურნირს უმასპინძლოს. ეს შეურაცხმყოფელია როგორც კლუბისთვის, ისე გულშემატკივრებისთვის", - აცხადებს "ლესტერ ტაიგერსის" წარმომადგენელი.

მეორე მხრივ, ტურნირის ორგანიზატორების გაგებაც შეიძლება. საქმე ისაა, რომ სარაგბო სტადიონებზე გაცილებით ნაკლები გულშემატკივარი ეტევა, ვიდრე საფეხბურთოზე. ამიტომ მსოფლიო თასის ორგანიზატორებმა არჩევანი შეაჩერეს საფეხბურთო სტადიონებზე, სადაც გაცილებით მეტი გულშემატკივარი მივა. შესაბამისად, გაცილებით მეტი ბილეთი გაიყიდება.

ორგანიზატორები აპირებენ დაახლოებით 2.9 მილიონი ბილეთის გაყიდვას, რაც ტურნირს დაახლოებით 100 მილიონ გირვანქა მოგებას მისცემს.

2015 წლის მსოფლიო თასის ორგანიზატორები უკვე ესაუბრნენ პრემიერ ლიგისა და საფეხბურთო კლუბების წარმომადგენლებს და მათგან სტადიონების გამოყენებაზე თანხმობა მიიღეს. ასე რომ, სარაგბო მსოფლიო თასს საფეხბურთო სტადიონები უმასპინძლებს. გთავაზობთ იმ სტადიონების ჩამონათვალს, რომლებიც 2015 წლის მსოფლიო თასის ორგანიზატორებმა ტურნირის სავარაუდო მასპინძლებად დაასახელეს.

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა არტანუჯი

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე